სადისციპლინო კოდექსი

საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია

სადისციპლინო კოდექსი

2026

GAFA

GEORGIAN AMATEUR FOOTBALL ASSOCIATION

სარჩევი

კარი პირველი. შესავალი დებულებები 7

1 მიზანი 7

2 მოქმედების სფერო 7

3 მოქმედების სფერო - ფიზიკური და იურიდიული პირები 7

4 მოქმედების დრო 8

5 განმარტებები 8

6 გამოსაყენებელი სამართალი 9

7 მსაჯის გადაწყვეტილებები 9

8 დისციპლინური დევნის ხანდაზმულობის ვადა 9

კარი მეორე. ზოგადი ნაწილი 10

თავი პირველი. სანქციების პირობები 10

9 პასუხისმგებლობა 10

10 დარღვევის მცდელობა 10

11 თანამონაწილეობა 11

თავი მეორე. სადისციპლინო სანქციები 11

12 სადისციპლინო სანქციის მნიშვნელობა 11

13 სადისციპლინო სანქციები 11

14 შენიშვნა 12

15 ჯარიმა 12

16 ჯილდოს ჩამორთმევა 13

17 გაფრთხილება 13

18 გაძევება 14

19 დისკვალიფიკაცია მატჩების გარკვეული რაოდენობით, ან გარკვეული დროით 14

20 გასახდელში შესვლის და/ან ტექნიკურ ზონაში ყოფნის აკრძალვა 15

21 სტადიონის ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა 15

22 სსფა-ის ეგიდით საფეხბურთო საქმიანობაში მონაწილეობის აკრძალვა 15

23 ტრანსფერის განხორციელების და ფეხბურთელის რეგისტრაციის აკრძალვა 15

24 მატჩის ჩატარება გულშემატკივრის/მაყურებლის გარეშე 15

25 მატჩის ჩატარება ნეიტრალურ სტადიონზე 16

26 კონკრეტულ სტადიონზე მატჩების ჩატარების აკრძალვა 16

27 მატჩის შედეგის გაუქმება ... 16
28 ქულების ჩამოკლება ... 17
29 რანგით დაბალ ლიგაში დაქვეითება ... 17
30 მიმდინარე ან/და სამომავლოდ დაგეგმილი ჩემპიონატიდან გარიცხვა ... 17
31 ტექნიკური მარცხის მინიჭება ... 17
32 მატჩის გადადება და გადათამაშება ... 18
თავი მესამე. სანქციების გამოყენების ზოგადი წესი ... 18
33 კომბინირებული სანქციების გამოყენება ... 18
34 სანქციების გამოყენება დისციპლინური დარღვევების ერთობლიობისას ... 18
35 სანქციების აღსრულების ნაწილობრივი შეჩერება ... 18
36 სანქციების ცენტრალიზება ... 19
37 სანქციის განსაზღვრა ... 19
38 განმეორებითი დარღვევები ... 19
39 ერთდროული დარღვევები ... 20
თავი მეოთხე. სპეციალური ნაწილი ... 20
40 შეურაცხმყოფელი ქცევა და სამართლიანი თამაშის წესების დარღვევა ... 20
41 დარღვევები მატჩის ოფიციალური პირების მიმართ მატჩამდე, მატჩის მიმდინარეობისას და მატჩის შემდეგ ... 20
42 დარღვევები მატჩამდე, მატჩის მიმდინარეობისას და მატჩის შემდეგ ფეხბურთელებისა და სხვა პირების მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ მატჩის ოფიციალური პირებს ... 22
43 არასპორტული საქციელი ... 23
44 ჩხუბი ... 23
45 მატჩში არამართლზომიერი მონაწილეობა და ცვლილებების არამართლზომიერი გამოყენება ... 24
46 მაყურებლის პროვოცირება ... 25
47 მაყურებლების მიერ ჩადენილი დარღვევები ... 25
48 პასუხისმგებლობა მაყურებელთა ქცევაზე ... 26
49 მოწევა ტექნიკურ ზონაში და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ... 26
50 ტექნიკურ ზონაში გარეშე პირთა ყოფნა ... 27
51 მატჩის მსვლელობაში ჩარევა ... 27
52 მატჩზე გუნდის გამოუცხადებლობა ... 27
53 მატჩზე მსაჯის გამოუცხადებლობა ... 27

54 მატჩზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით 28
55 მატჩის დაწყების შეფერხება 28
56 უარი მატჩის გაგრძელებაზე 28
57 მატჩის დროებით შეწყვეტა ან/და ჩაშლა 28
58 მატჩის ნაადრევად დასრულება 29
59 დისკრიმინაცია და რასიზმი, ნაცისტური ატრიბუტიკისა და სიმბოლიკის საჯარო დემონსტრირება 29
60 დოკუმენტების გაყალბება და ყალბი დოკუმენტების გამოყენება 30
61 გუნდის შეუსაბამო საქციელი 30
62 ჩემპიონატების დისკრედიტაცია 30
კარი მესამე. სადისციპლინო ორგანოები და მათი კომპეტენცია 31
თავი პირველი. ზოგადი დებულებები 31
63 ზოგადი წესი 31
64 სადისციპლინო ორგანოები და მათი შემადგენლობა 31
65 დამოუკიდებლობა 31
66 სხდომები 32
67 შეუთავსებლობა 32
68 კონფიდენციალობა 32
69 სადისციპლინო ორგანოს თავმჯდომარე 33
70 სამდივნო 33
71 ვადები და ხანდაზმულობა 33
72 პროცესუალური ვადების გაშვების შედეგები 34
73 პროცესუალური ვადების აღდგენა და განახლება 34
74 საჩივრის ფორმა და მისი წარდგენის უფლება 34
75 სხდომაზე დასწრების უფლება 35
76 წარმომადგენლობა 35
77 წარმოების ენა 35
78 ახლად აღმოჩენილი გარემოებები 36
79 ხარჯები 36
80 მტკიცებულებების სახეები 36
81 მტკიცებულებების გამოკვლევა 37
82 მატჩის ოქმი და მატჩის ოფიციალური პირების პატაკები 37

83 მტკიცების ტვირთი 37
თავი მეორე. სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილება 38
84 გადაწყვეტილების მიღება 38
85 გადაწყვეტილების სტრუქტურა და შინაარსი 38
86 გადაწყვეტილების ძალაში შესვლა 38
87 ადრესატები 39
88 გასაჩივრების უფლება 39
89 საჩივრის განმხილველი ორგანო 39
90 სააპელაციო საჩივრის შეტანა და საჩივრის ფორმა 39
91 სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილებები, რომლებიც არ საჩივრდება 40
92 უარი საჩივრის განხილვაზე 40
93 სააპელაციო შენატანი 40
94 სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადები 40
95 სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადა 41
96 სააპელაციო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით 41
კარი მეოთხე. დასკვნითი დებულებები 41
97 ოფიციალური ენა 41
98 გენდერი და რიცხვი 41
99 კოდექსის ამოქმედება 41

სადისციპლინო კოდექსი

9 ივლისი, 2026

წინამდებარე სადისციპლინო კოდექსი მიღებულია და დამტკიცებულია საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის (სსფა) გამგეობის მიერ, ორგანიზაციის წესდების მე-5 და მე-7 მუხლების შესაბამისად.

კარი პირველი. შესავალი დებულებები

1 მიზანი

ეს კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის (შემდგომში - სსფა) მიერ ორგანიზებული სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატების დებულებებისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული შესაძლო დარღვევების ჩამონათვალს, განსაზღვრავს სანქციებს, არეგულირებს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების ფუნქციონირებას და მათ სტრუქტურას, ამ ორგანოების მიერ გასატარებელ პროცედურებს და ასევე, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესებს.

2 მოქმედების სფერო

სადისციპლინო კოდექსის მოქმედება ვრცელდება სსფა-ის მიერ ორგანიზებულ მატჩებსა და ჩემპიონატებზე. იგი, ასევე, ვრცელდება სსფა-ის რეგულაციების ნებისმიერ დარღვევაზე, რომელიც არ ექვემდებარება სხვა ორგანოს იურისდიქციას.

3 მოქმედების სფერო - ფიზიკური და იურიდიული პირები

წინამდებარე კოდექსი ვრცელდება შემდეგ პირებზე:

- კლუბებზე / გუნდებზე;
- ოფიციალურ წარმომადგენლებზე;
- ფეხბურთელებზე;
- მატჩის ოფიციალურ პირებზე;
- გულშემატკივრებზე / მაყურებლებზე;
- სსფა-ის მიერ ავტორიზებულ პირებზე, კერძოდ, იმ პირებზე, რომლებიც ავტორიზებულები, ლიცენზირებულები ან/და დროებით დაქირავებულები არიან სსფა-ის მიერ.

4 მოქმედების დრო

წინამდებარე კოდექსი გამოიყენება იმ ფაქტების მიმართ, რომლებიც წარმოიშვა მისი ძალაში შესვლის შემდეგ. ამ კოდექსის ძალაში შესვლამდე მომხდარ ფაქტებზე ვრცელდება სსფა-ის სადისციპლინო კოდექსის შესაბამისი წლის რედაქციით დადგენილი წესები.

5 განმარტებები

1. **სსფა** - საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია.
2. **სფფ** - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.
3. **FIFA** - საფეხბურთო ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია.
4. **UEFA** - ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი.
5. **მატჩის დაწყებამდე პერიოდი** - დრო გუნდების სტადიონზე გამოცხადებიდან მთავარი მსაჯის საწყის სასტვენამდე.
6. **მატჩის შემდგომი პერიოდი** - დრო მთავარი მსაჯის საბოლოო სასტვენიდან გუნდების მიერ სტადიონის ტერიტორიის დატოვებამდე.
7. **მატჩის მიმდინარეობა** - სსფა-ის საშეჯიბრო დებულებების შესაბამისად საფეხბურთო მატჩისთვის განსაზღვრული დრო, კერძოდ, დრო მთავარი მსაჯის საწყის და საბოლოო სასტვენებს შორის.
8. **ფეხბურთელი** - სსფა-ის ორგანიზებით გამართული ჩემპიონატის მონაწილე სამოყვარულო საფეხბურთო კლუბის/გუნდის შეამდგენლობაში სსფა-ის საშეჯიბრო დებულებებით განსაზღვრული წესების დაცვით რეგისტრირებული პირი.
9. **ოფიციალური წარმომადგენლები** - კლუბის/გუნდის წარმომადგენელი ნებისმიერი პირი, ფეხბურთელების გამოკლებით, რომელიც ასრულებს ფეხბურთთან დაკავშირებულ საქმიანობას განურჩევლად მისი თანამდებობისა, როლისა (ადმინისტრაციული, სპორტული ან სხვა) ან/და საქმიანობის ხანგრძლივობისა; მათ შორის, მენეჯერები, მწვრთნელები და დამხმარე პერსონალი არიან ოფიციალური წარმომადგენლები.
10. **მატჩის ოფიციალური პირი** - მთვარი მსაჯი, მთავარი მსაჯის ასისტენტები, მეოთხე მსაჯი, მატჩის დელეგატი, კოორდინატორი, მსაჯთა დამკვირვებელი (კომისარი), უსაფრთხოებაზე ან/და სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი და სსფა–ის მიერ სპეციალურად დანიშნული ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება მატჩის ორგანიზებასთან დაკავშირებით.
11. **სსფა-ის რეგულაციები** - სსფა-ის საშეჯიბრო და სატრანსფერო დებულებები, სადისციპლინო კოდექსი, ბრძანებები, გამგეობის გადაწყვეტილებები, სხვა დებულებები და დამატებითი რეგულაციები, ასევე, ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს (IFAB) მიერ მიღებული თამაშის წესები (Laws of the Game).
12. **ჩემპიონატი** - სსფა-ის მიერ ორგანიზებული ლიგის ან/და თასის სისტემით გამართული სამოყვარულო საფეხბურთო ტურნირი.
13. **მატჩი** - სსფა-ის მიერ ორგანიზებული ჩემპიონატის საფეხბურთო შეჯიბრი ორ სამოყვარულო საფეხბურთო გუნდს/კლუბს შორის.
14. **სამოყვარულო საფეხბურთო გუნდი** - საფეხბურთო გუნდი, რომელიც მონაწილეობას იღებს საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ოფიციალურ ჩემპიონატებში, რეგისტრირებულია სსფა-ის გუნდების რეესტრში და არ არის რეგისტრირებული იურიდიულ პირად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15. **სამოყვარულო საფეხბურთო კლუბი** - სამოყვარულო საფეხბურთო გუნდი, რომელიც

რეგისტრირებულია იურიდიულ პირად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. **ტექნიკური ზონა** - საფეხბურთო მოედნის კონკრეტული ნაწილი, რომელიც გამოყოფილია ფეხბურთელებისა და გუნდის ოფიციალური წარმომადგენლებისათვის.
17. **მაყურებელი / გულშემატკივარი** - პირი, რომელიც არ არის ფეხბურთელი, ოფიციალური წარმომადგენელი, მატჩის ოფიციალური პირი და მატჩს ესწრება მაყურებლისთვის / გულშემატკივრისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან.
18. **გარიგებული მატჩი** - ჩემპიონატში გამართული საფეხბურთო მატჩი, რომელშიც დადგენილია მატჩის შედეგის გამიზნული მანიპულაცია, მატერიალური და სხვა სარგებლის მიღების მიზნით.

6 გამოსაყენებელი სამართალი

სსფა-ს სადისციპლინო ორგანოები თავიანთ გადაწყვეტილებებში ემყარებიან:

- პირველ რიგში, სსფა-ს წესდებას, რეგულაციებს, წინამდებარე სადისციპლინო კოდექსს, აქამდე მიღებულ სადისციპლინო გადაწყვეტილებებს და თამაშის წესებს (Laws of the Game by IFAB);
- ამის შემდეგ კი - საქართველოს კანონმდებლობას, ECJ-ისა და CAS-ის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების მიმღები სადისციპლინო ორგანო ჩათვლის საჭიროდ.

7 მსაჯის გადაწყვეტილებები

1. მსაჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საბოლოოა და სსფა-ის სადისციპლინო ორგანოებს ასეთი გადაწყვეტილებების განხილვის უფლება აქვთ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რომელიც ჩამოთვლილია ამავე მუხლში.
2. იმ შემთხვევაში, თუ მსაჯის გადაწყვეტილება აშკარა შეცდომას შეიცავს (მაგალითად, დაშვებულია შეცდომა სანქცირებული ფიზიკური პირის პიროვნების იდენტიფიცირებისას), სსფა-ის სადისციპლინო ორგანოებს შეუძლიათ განიხილონ მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილების დისციპლინური შედეგები.
3. საჩივარი მსაჯის გადაწყვეტილების მიმართ, გაფრთხილების ან/და ორი გაფრთხილების შედეგად ფეხბურთელის გაძევების ან პირდაპირ წითელი ბარათით გაძევების საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჩივარს თან ახლავს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც უტყუარად დასტურდება მსაჯის მიერ შეცდომის დაშვების ფაქტი. დაუშვებელია ასეთი საჩივრის დაკმაყოფილება მხოლოდ გუნდის/კლუბის წარმომადგენელთა ჩვენებით.
4. სსფა-ს რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში, სადისციპლინო საქმის წარმოება შესაძლებელია დაიწყოს მაშინაც კი, თუ მთავარმა მსაჯმა და მისმა თანაშემწეებმა ვერ/არ დააფიქსირეს დარღვევა და ვერ შეძლეს/არ მიიღეს შესაბამისი ზომების მიღება ან არ მიიღეს შესაბამისი ზომები.
5. საჩივრები მსაჯის შეცდომის გამო დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჩივარს თან ახლავს უტყუარი, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს მსაჯის შეცდომას. ასეთი მტკიცებულებების გარეშე წარდგენილი საჩივარი სადისციპლინო ორგანომ დაუშვებლად უნდა ცნოს და არ დაიწყოს დისციპლინური საქმის წარმოება.

8 დისციპლინური დევნის ხანდაზმულობის ვადა

1. კონკრეტული დარღვევების მიმართ დისციპლინური დევნის განხორციელების ვადები

განისაზღვრება შემდეგი პერიოდით:

- 2 წელი - დისციპლინური დარღვევებისთვის, რომელიც განხორციელებულია მატჩამდე, მატჩის მიმდინარეობისას ან/და მატჩის შემდეგ.
- 10 წელი - ფეხბურთელების რეგისტრაციის წესების დარღვევისათვის და მატჩზე მანიპულაციისათვის.
- 5 წელი - ყველა სხვა დარღვევისათვის.

2. ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება:
   - დისციპლინური დარღვევის ჩადენის დღიდან;
   - დისციპლინური დარღვევის არაერთხელ ჩადენის შემთხვევაში - უკანასკნელი დისციპლინური დარღვევის ჩადენის დღიდან;
   - გარკვეული პერიოდით განგრძობადი დარღვევის ჩადენის შემთხვევაში - ქმედების დასრულების დღიდან.
3. ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება სსფა-ის სადისციპლინო ორგანოების მიერ სადისციპლინო საქმის წარმოების დაწყებისთანავე.
4. დისციპლინური სანქციის აღსრულების ზოგადი ვადაა ორი წელი, რომლის ათვლა იწყება სადისციპლინო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. სსფა-ის გამგეობა სანქციადადებულ პირს უგზავნის შეტყობინებას სანქციის აღსრულების ვადებთან დაკავშირებით. დადგენილ ვადაში სანქციის შეუსრულებლობის შემთხვევაში გამგეობას უფლება აქვს დამრღვევ პირს დაუწესოს ჯარიმა, რომლის ოდენობასაც თითოეული დარღვევიდან გამომდინარე განსაზღვრავს გამგეობა.

კარი მეორე. ზოგადი ნაწილი

თავი პირველი. სანქციების პირობები

9 პასუხისმგებლობა

1. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ნებისმიერი დარღვევა ისჯება განურჩევლად იმისა, განზრახ არის იგი ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით. კერძოდ, კლუბები/გუნდები პასუხისმგებლები არიან თავიანთი ფეხბურთელების, ოფიციალური წარმომადგენლების, გულშემატკივრების ან/და იმ ადამიანების ქცევებზე, რომლებიც მოქმედებენ მათი სახელით ან/და მათ სასარგებლოდ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კლუბს/გუნდს მათ ქმედებაში ბრალი არ მიუძღვის.
2. გამონაკლისის სახით, ყოველგვარი დარღვევის ჩადენის გარეშე, კონრეტული პირების ან ჩემპიონატის უსაფრთხოების მიზნით, სსფა-ის მიერ ორგანიზებული ნებისმიერი ჩემპიონატის მატჩი შეიძლება ჩატარდეს ნეიტრალურ ან წინასწარ შერჩეულ სტადიონზე ან/და გულშემატკივრის დასწრების გარეშე.

10 დარღვევის მცდელობა

1. დარღვევის მცდელობად ითვლება პირის გამიზნული ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დისციპლინური დარღვევის ჩასადენად, მაგრამ მისი ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა.
2. დარღვევის მცდელობაც წარმოადგენს სანქცირებად ქმედებას და ისჯება ამ კოდექსის შესაბამისად. დაუშვებელია დარღვევის მცდელობა სრულად გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.
3. ქმედების მცდელობის შემთხვევაში, სადისციპლინო ორგანომ შესაძლოა შეამციროს ჩადენილი ქმედებისათვის დადგენილი სანქციის მოცულობა. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, ორგანო თავად განსაზღვრავს დამრღვევი პირისათვის დაკისრებული სანქციის მოცულობას. ამასთანავე, დაუშვებელია დამრღვევ პირს დაეკისროს იმაზე ნაკლები ოდენობის ფინანსური სანქცია, ვიდრე ეს

განსაზღვრულია ამ კოდექსით.

11 თანამონაწილეობა

1. დისციპლინური დარღვევის ჩადენაში ორი ან მეტი პირის მონაწილეობა ითვლება თანამონაწილეობად და ისჯება ამ კოდექსის შესაბამისად.
2. პირი, რომელიც განზრახ იღებს მონაწილეობას სადისციპლინო დარღვევის ჩადენაში, როგორც წამქეზებელი ან დარღვევის თანამონაწილე, ასევე, ისჯება ამ კოდექსით დადგენილი წესით. დაუშვებელია თანამონაწილეობა სრულად გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან.
3. გადაწყვეტილების მიღებისას, სადისციპლინო ორგანო აფასებს სავარაუდო დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს და საჭიროებისამებრ, შეუძლია შეამციროს სანქციის მოცულობა. ამასთანავე, დაუშვებელია დამრღვევ პირს დაეკისროს იმაზე ნაკლები ოდენობის ფინანსური სანქცია, ვიდრე ეს განსაზღვრულია ამ კოდექსით.

თავი მეორე. სადისციპლინო სანქციები

12 სადისციპლინო სანქციის მნიშვნელობა

1. სავარაუდო დამრღვევ პირს სადისციპლინო სანქცია დაეკისრება სსფა-ის სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილებით, ამ კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად. პირს, ასევე, შეიძლება დაეკისროს სპორტული სანქცია მსაჯის მიერ მატჩამდე, მატჩის დროს ან/და მატჩის შემდეგ.
2. დისციპლინური წესების დამრღვევი პირის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი დისციპლინური სანქცია.

13 სადისციპლინო სანქციები

1. ჩამოთვლილი სადისციპლინო სანქციები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირების მიმართ:
    - შენიშვნა;
    - ჯარიმა;
    - ჯილდოს ჩამორთმევა.
2. ჩამოთვლილი სადისციპლინო სანქციები გამოიყენება მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ:
    - გაფრთხილება;
    - გაძევება;
    - დისკვალიფიკაცია მატჩების გარკვეული რაოდენობით, ან გარკვეული დროით;
    - გასახდელ ოთახში ან/და ტექნიკურ ზონაში ყოფნის აკრძალვა;
    - სტადიონის ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა;
    - სსფა-ის ეგიდით საფეხბურთო საქმიანობაში მონაწილეობის აკრძალვა
3. ჩამოთვლილი სადისციპლინო სანქციები გამოიყენება მხოლოდ იურიდიული პირების მიმართ:
    - ტრანსფერის განხორციელების და ფეხბურთელის რეგისტრაციის აკრძალვა;
    - მატჩის ჩატარება გულშემატკივრის/მაყურებლის გარეშე;
    - მატჩის ჩატარება ნეიტრალურ სტადიონზე;
    - კონკრეტულ სტადიონზე მატჩების ჩატარების აკრძალვა;
    - მატჩის შედეგის გაუქმება;

- ქულების ჩამოკლება;
- რანგით დაბალ ლიგაში დაქვეითება;
- მიმდინარე ან/და სამომავლოდ დაგეგმილი ჩემპიონატიდან გარიცხვა;
- ტექნიკური მარცხის მინიჭება;
- მატჩის გადათამაშება;

14 შენიშვნა

შენიშვნა არის სადისციპლინო სანქცია, რომელსაც აწესებს სსფა-ის სადისციპლინო ორგანო და გამოხატულია პირისათვის წერილობითი შეტყობინების სახით, წესების დაცვის აუცილებლობის მნიშვნელობის შესახებ, მომავალში დარღვევის განხორციელების შემთხვევაში უფრო მკაცრი სანქციის გამოყენების შესაძლებლობით.

15 ჯარიმა

1. სადისციპლინო ორგანოების მიერ ჯარიმის დაწესება ხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).
2. ფიზიკური პირისთვის დაწესებული ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები, ხოლო, იურიდიული პირისთვის - 100 ლარზე ნაკლები. ამასთანავე, ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკური პირისთვის - 500 ლარს, ხოლო იურიდიული პირისთვის - 2 000 ლარს.
3. სადისციპლინო ორგანო თავად განსაზღვრავს ჯარიმის გამოყენების წესს და კონკრეტულ შემთხვევაში ჯარიმის ოდენობას, წინამდებარე კოდექსის შესაბამისად. შესაძლებელია, სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილებით, მოხდეს ჯარიმის თანხის გადახდის გადავადება.
4. ჯარიმა გადახდილი უნდა იქნას სადისციპლინო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში. კონკრეტულ შემთხვევებში, სადისციპლინო ორგანოს შეუძლია დააწესოს უფრო მცირე ვადა. აღნიშნული ვადის დენა შესაძლებელია შეჩერდეს სააპელაციო ორგანოში სააპელაციო საჩივრის წარდგენის მომენტისთვის. თუ სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილებით ძალაში რჩება სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილება, ჯარიმა სრულად უნდა იქნას გადახდილი სააპელაციო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
5. კლუბები/გუნდები თანაბრად პასუხისმგებლები არიან იმ ჯარიმებზე, რომლებიც დაწესებულია მათი ოფიციალური წარმომადგენლების, ფეხბურთელების ან/და სხვა პირების მიმართ.
6. კლუბის/გუნდის მიერ ოფიციალური წარმომადგენლის, ფეხბურთელის ან/და სხვა პირის შემადგენლობიდან ამორიცხვა ან გათავისუფლება დაკავებული პოსტიდან მას არ ათავისუფლებს ჯარიმის გადახდის ვალდებულებისგან.
7. ფიზიკური ან/და იურიდიული პირები, რომლებიც მათ მიმართ ჯარიმის დაწესების შემდეგ შეწყვეტენ ასპარეზობას სსფა-ის მიმდინარე კონკრეტულ ჩემპიონატში, ჯარიმის დაფარვამდე ვეღარ მიიღებენ მონაწილეობას სსფა-ის მიერ ორგანიზებულ სხვა ან იმავე ჩემპიონატებში.
8. კლუბები/გუნდები, რომლებიც მათ მიმართ ჯარიმის დაწესების შემდეგ შეწყვეტენ ასპარეზობას სსფა-ის მიმდინარე კონკრეტულ ჩემპიონატში და მომავალ სეზონში მოინდომებენ ასპარეზობას ახალი სახელით, ვერ დარეგისტრირდებიან ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად მანამ, სანამ არ გადაიხდიან მათზე დაკისრებულ ჯარიმას. იმ შემთხვევაში, თუ ახლად შექმნილი გუნდის შემადგენლობაში ძველი გუნდის შემადგენლობიდან რეგისტრირდება არანაკლებ 7 ფეხბურთელისა, ასეთი გუნდი ჩაითვლება ძველი გუნდის ადგილმონაცვლედ და ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ვერ დარეგისტრირდება მანამ, სანამ სრულად არ დაფარავს სადისციპლინო ორგანოს მიერ დაკისრებულ ჯარიმას.
9. ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სსფა-ის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

დაჯარიმებულ პირს საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს სადისციპლინო ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად ელ-ფოსტის საშუალებით უგზავნის სსფა-ის სამდივნო.

16 ჯილდოს ჩამორთმევა

პირს, რომელსაც სადისციპლინო სანქციად დაუწესდა ჯილდოს ჩამორთმევა, უნდა ჩამოერთვას სადისციპლინო გადაწყვეტილებაში მითითებული ჯილდო, კერძოდ, ფულადი თანხა ან/და სიმბოლური ნიშნები (მედალი, თასი, პრიზი და სხვა).

17 გაფრთხილება

1. გაფრთხილება არის სადისციპლინო სანქცია, რომელსაც იყენებს მთავარი მსაჯი მოთამაშის მიმართ მატჩამდე, მატჩის დროს ან/და მატჩის შემდეგ, თამაშის წესების შესაბამისად და გამოიხატება ფეხბურთელისთვის ყვითელი ბარათის ჩვენებაში.
2. ფეხბურთელის მიერ ერთ მატჩში მიღებულ ორ გაფრთხილებას მოჰყვება მისი გაძევება (არაპირდაპირი წითელი ბარათით) და შესაბამისად, იგი ავტომატურად ტოვებს მომდევნო მატჩს.
3. იმ შემთხვევაში, თუ სადისციპლინო სანქციის გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია გაფრთხილებების რაოდენობა, ფეხბურთელის მიერ ერთი მატჩის განმავლობაში ორი გაფრთხილების მიღება განიხილება, როგორც გაძევება და ასეთი გაფრთხილება არ იქნება გათვალისწინებული გაფრთხილებების საერთო რაოდენობის დათვლისას. თუ ფეხბურთელი ერთი და იმავე მატჩში ყვითელი ბარათის მიღების შემდეგ სხვა დარღვევისათვის მიიღებს პირდაპირ წითელ ბარათს, მაშინ ყვითელი ბარათი ჩაითვლება მიღებული ყვითელი ბარათების საერთო რაოდენობაში, ხოლო პირდაპირ წითელი ბარათის მიღების შემთხვევაში, მას მანამდე სხვა მატჩებში მიღებული ყვითელი ბარათები არ უუქმდება.
4. სსფა-ის ჩემპიონატებში გაფრთხილებების ლიმიტი და ასეთი გაფრთხილებების გამო მატჩების გამოტოვების წესები დგინდება კონკრეტული ჩემპიონატის საშეჯიბრო დებულებით.
5. ლიგის ფორმატით ჩატარებულ ჩემპიონატში მიღებული გაფრთხილებები არ ვრცელდება თასის გათამაშების ფორმატით ჩატარებულ ჩემპიონატებზე და პირიქით. თუ მატჩი არ ჩატარდა და დაფიქსირდა ტექნიკური წაგების ჩათვლა ერთი ან ორივე გუნდისათვის ან მატჩი გადაიდო, ფეხბურთელის გაფრთხილებების ოდენობა და დისკვალიფიკაციის ვადა უცვლელი რჩება. ეს წესი არ მოქმედებს სსფა-ის სადისციპლინო ორგანოების მიერ სანქციის სახით ვადიანი დისკვალიფიკაციის გამოყენების შემთხვევებზე, მოქმედებს მხოლოდ მატჩების ოდენობით განსაზღვრულ დისკვალიფიკაციაზე.
6. იმ შემთხვევაში, თუ მატჩი რაიმე მიზეზით შეწყდა და მიღებულია გადაწყვეტილება შეწყვეტილი მატჩის გაგრძელების შესახებ, მაშინ ამ მატჩის დროს მიღებული ნებისმიერი გაფრთხილება ძალაშია.
7. მატჩის შედეგის გაუქმების შემთხვევაში:
   - თუ მიღებულია გადაწყვეტილება მატჩის გადათამაშების შესახებ, მაშინ ამ მატჩის მსვლელობისას მიღებული გაფრთხილება გაუქმდება. თუ ფეხბურთელი დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა თავდაპირველ მატჩს, იგი გამოტოვებულად არ ჩაითვლება.
   - თუ მიღებულია გადაწყვეტილება რომელიმე ან ორივე გუნდისათვის ტექნიკური მარცხის ჩათვლის შესახებ, მაშინ მატჩის მსვლელობისას მიღებული გაფრთხილება ძალაშია. ამ შემთხვევაში ფეხბურთელს, რომელიც ასეთ მატჩში დისკვალიფიკაციის გამო მონაწილეობას ვერ იღებდა, მატჩი ჩაეთვლება გამოტოვებულად.
8. იმ შემთხვევაში, თუ გუნდი რაიმე მიზეზის გამო გამოეთიშა ჩემპიონატს ან აღარ აგრძელებს მონაწილეობას, ამ გუნდის ფეხბურთელების მიერ მიღებული გაფრთხილებები ძალაში რჩება.
9. ჩემპიონატის მსვლელობისას სხვა გუნდში/კლუბში გადასულ ფეხბურთელებს თან გადაჰყვებათ

მიღებული გაფრთხილებები, გაძევებები და დისციპლინური სანქციები.
10. ერთი სეზონის მსვლელობისას მიღებული გაფრთხილებები არ გადადის მომდევნო სეზონზე.

18 გაძევება

1. გაძევება არის სადისციპლინო სანქცია, რომელიც გამოიყენება მსაჯის მიერ მატჩის მონაწილეთა მიმართ, მატჩამდე, მატჩის დროს და მატჩის შემდეგ, თამაშის წესების დარღვევისათვის და გამოიხატება მსაჯის მოთხოვნაში - დამრღვევმა პირმა დატოვოს საფეხბურთო მინდორი და მიმდებარე ტერიტორია (ტექნიკური ზონის ჩათვლით). გაძევებულს შეიძლება მიეცეს ტრიბუნაზე დაჯდომის უფლება, თუ მას არ მიეთითება სტადიონის დატოვება.
2. ფეხბურთელის გაძევებისას მსაჯი მას უჩვენებს წითელ ბარათს. მატჩის მონაწილე სხვა პირების გაძევებისას მსაჯს უფლება აქვს უჩვენოს მათ წითელი ბარათი ან სიტყვიერად გამოუცხადოს გაძევებულ პირს დატოვოს მინდორი და მისი მიმდებარე ტერიტორია (ტექნიკური ზონის ჩათვლით). გაძევება შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირია გაძევება, როცა პირი იღებს პირდაპირ წითელ ბარათს, ხოლო არაპირდაპირი - როცა პირი ერთ თამაშში მიიღებს ორ ყვითელ ბარათს.
3. გაძევება ავტომატურად იწვევს მომდევნო თამაშის გამოტოვებას, იმ შემთხვევაშიც კი თუ იგი მიღებულია იმ მატჩში, რომელიც შემდგომ შეწყდა ან მისი შედეგი გაუქმდა. სადისციპლინო ორგანოს შეუძლია გაზარდოს დისკვალიფიკაცია წინამდებარე კოდექსის შესაბამისად.
4. ლიგის ფორმატით გამართული ჩემპიონატის მატჩებში მიღებული წითელი ბარათი არ მოქმედებს თასის ფორმატით გამართული ჩემპიონატის მატჩებში და პირიქით.

19 დისკვალიფიკაცია მატჩების გარკვეული რაოდენობით, ან გარკვეული დროით

1. დისკვალიფიკაცია არის სადისციპლინო სანქცია, რომელიც დაწესებულია სადისციპლინო ორგანოს მიერ, ავტომატური დისკვალიფიკაციის შემთხვევების გამოკლებით და გამოიხატება ჩემპიონატებში მონაწილეობის უფლების აკრძალვით.
2. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პირი ერთდროულად არის რეგისტრირებული ორ ან რამდენიმე გუნდში, სხვადასხვა ან ერთი და იგივე ოფიციალური სტატუსით, ნებისმიერ შემთხვევაში მიღებული დისკვალიფიკაცია ვრცელდება მის ყველა გუნდსა და როლზე. მსგავს სიტუაციაში, ერთი მატჩი უტოლდება ერთ ტურს და ასეთ ტურში იგულისხმება ერთ სათამაშო კვირაში გასამართი ყველა ზემოაღნიშნული გუნდის მატჩი.
3. დისკვალიფიკაცია გამოიყენება, როგორც ფეხბურთელის, ასევე, გუნდის/კლუბის ოფიციალური წარმომადგენლების მიმართ.
4. დისკვალიფიცირებული პირი არ უნდა იყოს შეყვანილი მატჩის ოქმში. დისკვალიფიცირებულ ოფიციალურ წარმომადგენელს არ აქვს უფლება მატჩამდე, მატჩის დროს და მატჩის შემდეგ შეასრულოს ჩემპიონატის დებულებით გათვალისწინებული თავისი მოვალეობები, ასევე, ის არ უნდა იმყოფებოდეს ტექნიკურ ზონაში, გასახდელში და ტრიბუნის ქვეშ განთავსებულ შენობებში.
5. დისკვალიფიკაცია განისაზღვრება მატჩების ან/და გარკვეული დროის (დღეები, თვეები ან წლები) ოდენობით, თუ წინამდებარე კოდექსით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, იგი არ უნდა აჭარბებდეს 24 მატჩს ან 2 წელს. გარიგებული მატჩების ორგანიზებისათვის დისკვალიფიკაცია შეიძლება იყოს უვადო.
6. თუ მატჩი არ დამთავრდა, ხოლო შედეგი ანულირებულ იქნა, ან ერთ-ერთ გუნდს ან ორივეს ჩაეთვალა წაგება, დისკვალიფიკაცია ჩაითვლება რეალიზებულად. იმ შემთხვევაში, თუ დაინიშნება გადათამაშება, ან მატჩი არ ჩატარდება, დისკვალიფიკაცია არ ითვლება რეალიზებულად.
7. მიმდინარე სეზონში განუხორციელებელი ან დაუსრულებელი დისკვალიფიკაცია (ავტომატური

დისკვალიფიკაციის ჩათვლით) გადადის მომდევნო სპორტულ სეზონზე. ხოლო ყვითელი ბარათების გამო გამოწვეული სანქცია არ გადადის მომდევნო სპორტულ სეზონზე.

8. ფეხბურთელებზე და ოფიციალურ წარმომადგენლებზე დაწესებული ყველა დისკვალიფიკაცია ძალაში რჩება მათი სხვა გუნდში გადასვლისას.
9. იმ შემთხვევაში, თუ გუნდი რაიმე მიზეზით გამოეთიშა ჩემპიონატს, მაშინ ამ გუნდის ფეხბურთელების ყველა დისკვალიფიცია რჩება ძალაში.
10. თუ მატჩის გამოტოვებასთან ერთად დაწესებულია ჯარიმა, მატჩის გამოტოვება შეიძლება გახანგრძლივდეს, ვიდრე არ მოხდება ჯარიმის მთლიანად გადახდა.

20 გასახდელში შესვლის და/ან ტექნიკურ ზონაში ყოფნის აკრძალვა

გასახდელში შესვლის და/ან ტექნიკურ ზონაში ყოფნის აკრძალვა არის სადისციპლინო სანქცია, რომელიც ართმევს უფლებას პირს, შევიდეს გუნდის გასახდელში და/ან იმყოფებოდეს სათამაშო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ კი ტექნიკურ ზონაში.

21 სტადიონის ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა

სტადიონზე შესვლის აკრძალვა არის სადისციპლინო სანქცია, როდესაც პირს არა აქვს ერთ ან რამოდენიმე სტადიონის ტერიტორიაზე შესვლის უფლება.

22 სსფა-ის ეგიდით საფეხბურთო საქმიანობაში მონაწილეობის აკრძალვა

1. სსფა-ის ეგიდით, ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვა არის სადისციპლინო სანქცია, რომელიც სადისციპლინო ორგანოს მიერ არის დაწესებული და გამოიხატება პირის მიმართ განსაზღვრული დროით ან უვადოდ, სსფა-ის ეგიდით, ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვაში.
2. პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება აღნიშნული სანქცია, არ შეიძლება შეყვანილი იყოს ჩემპიონატის განაცხადში, ფეხბურთელის, მწვრთნელის, წარმომადგენლის, ხელმძღვანელის ან/და სხვა რანგში. მას არ შეუძლია განახორციელოს სამსაჯო და სადამკვირვებლო საქმიანობა, ასევე იყოს მატჩის დელეგატი, კოორდინატორი და აწარმოოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა ფეხბურთის სუბიექტებში ან ფეხბურთის სუბიექტების დავალებით სსფა-ის ეგიდით გამართულ ჩემპიონატებში.

23 ტრანსფერის განხორციელების და ფეხბურთელის რეგისტრაციის აკრძალვა

ტრანსფერების განხორციელების და ფეხბურთელების რეგისტრაციის აკრძალვა არის სადისციპლინო სანქცია, როდესაც კლუბს/გუნდს ეკრძალება ფეხბურთელების რეგისტრაცია სატრანსფერო პერიოდში ან/და სეზონის განმავლობაში, სადისციპლინო ორგანოს მიერ განსაზღვრული პერიოდით.

24 მატჩის ჩატარება გულშემატკივრის/მაყურებლის გარეშე

გულშემატკივრის/მაყურებლის გარეშე მატჩის (მატჩების) ჩატარება არის სადისციპლინო სანქცია, რომელსაც ადგენს სადისციპლინო ორგანო და გამოიხატება კლუბის/გუნდის ვალდებულებაში განსაზღვრული მატჩ(ებ)ი ჩაატაროს გულშემატკივრის/მაყურებლის გარეშე. შესაძლებელია კონკრეტული მატჩ(ებ)ი გაიმართოს ორივე ან ერთ-ერთი გუნდის გულშემატკივრის/მაყურებლის

დასწრების გარეშე. პირველ შემთხვევაში, ასეთ მატჩზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ მატჩის ოფიციალურ პირებს, სსფა-ის მიერ აკრედიტებულ პირებს, კლუბების თანამშრომლებს და სსფა-ის წარმომადგენლებს. მეორე შემთხვევაში, მატჩზე დასწრების უფლება აქვს მხოლოდ უსანქციო გუნდის გულშემატკივარს, შესაბიმისი პროცედურის დაცვით, რომელსაც განსაზღვრავს საშეჯიბრო კომიტეტი.

25 მატჩის ჩატარება ნეიტრალურ სტადიონზე

1. მატჩის ჩატარება ნეიტრალურ სტადიონზე არის სადისციპლინო სანქცია, დაწესებული სადისციპლინო ორგანოს მიერ, რომელიც გამოხატულია კლუბის/გუნდის ვალდებულებაში კონკრეტული მატჩი (მატჩები) ჩაატაროს ნეიტრალურ სტადიონზე ანუ ისეთ სტადიონზე, სადაც ეს გუნდი ჩვეულებრივ არ მართავს ოფიციალურ მატჩებს
2. კლუბი/გუნდი, რომლის მიმართაც დაწესებულია აღნიშნული სანქცია, ვალდებულია ჩაატაროს მატჩი ჩემპიონატის დებულების შესაბამისად.
3. აღნიშნული სანქციის დაწესებისას სადისციპლინო ორგანო განსაზღვრავს მატჩების რაოდენობას, რომელიც ნეიტრალურ სტადიონზე უნდა გაიმართოს. ამასთანავე, აღნიშნული სანქციის აღსრულება უნდა მოხდეს უახლოეს კალენდარულ მატჩებში, სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ.

26 კონკრეტულ სტადიონზე მატჩების ჩატარების აკრძალვა

კონკრეტულ სტადიონზე მატჩების ჩატარების აკრძალვა არის სადისციპლინო სანქცია, დაწესებული სადისციპლინო ორგანოს მიერ, რომელიც განსაზღვრული ვადით დამრღვევ კლუბს/გუნდს უკრძალავს მატჩების ჩატარებას კონკრეტულ სტადიონზე.

27 მატჩის შედეგის გაუქმება

1. მატჩის შედეგების გაუქმება სადისციპლინო ორგანოს მიერ დაწესებული სადისციპლინო სანქციაა, რომელიც გამოხატულია განსაზღვრული მატჩის შედეგების გაუქმებაში.
2. მატჩის შედეგების გაუქმებას შეიძლება მოჰყვეს გადათამაშების დანიშვნა ან მატჩში მონაწილე ერთ-ერთი ან ორივე გუნდისათვის ტექნიკური მარცხის მინიჭება. მატჩის შედეგის გაუქმება ხორციელდება წინამდებარე კოდექსით ან ჩემპიონატის დებულებით, ხოლო იმ შემთხვევებში, როცა აღნიშნული რეგულაციებით არ არის განსაზღვრული მატჩის შედეგის გაუქმება - სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილებით.
3. მატჩის შედეგების გაუქმება, როგორც სანქცია, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც სსფა-ის მიერ ორგანიზებული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ასევე, ჩემპიონატის დასრულებამდე. თუ აღნიშნული სანქცია სადისციპლინო ორგანოს მიერ დაწესებულია სსფა-ის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ასეთ შემთხვევაში, სსფა-ის საშეჯიბრო კომიტეტს ჩემპიონატის საბოლოო შედეგებში შეაქვს შესაბამისი ცვლილებები. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა განხორციელდა ჩემპიონატის წინა ეტაპზე და გამოვლინდა შემდგომი ეტაპის მიმდინარეობისას (მაგალითად, დარღვევა მოხდა რეგიონულ ეტაპზე, ხოლო გამოვლინდა ფინალური ეტაპის მიმდინარეობისას), შედეგებში ცვლილებები შესაძლოა განხორციელდეს, თუმცა, მიმდინარე ეტაპი გაგრძელდება არსებული მონაწილეებით.

28 ქულების ჩამოკლება

1. ქულების ჩამოკლება არის სადისციპლინო სანქცია, დაწესებული სადისციპლინო ორგანოს მიერ, რაც გამოიხატება კლუბის/გუნდის მიერ მოპოვებული ქულების ჩამორთმევაში, იმ ჩემპიონატებში, რომელშიც იგი იღებდა მონაწილეობას და რომელიც ტარდება ლიგის სისტემით, სადაც დაკავებული ადგილების განაწილება ხორციელდება დაგროვილი ქულების შესაბამისად.
2. გადაწყვეტილება ქულების ჩამოკლების შესახებ მიიღება ჩემპიონატის დასრულებამდე, თუ წინამდებარე კოდექით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
3. თუ წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სადისციპლინო ორგანოს მიერ ქულების დაკლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ჩემპიონატის დასრულების შემდეგ და ჩემპიონატის ახალი სეზონის დაწყებამდე, სადისციპლინო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას კლუბისთვის/გუნდისთვის ქულების დაკლების თაობაზე ჩემპიონატის მომავალ სეზონში. ასეთი სანქციის დაწესება ხდება იმ ჩემპიონატის დაწყებამდე, რომელშიც მონაწილეობას იღებს საფეხბურთო გუნდი.
4. კონკრეტულ შემთხვევებში, ჩამოკლებული ქულების ოდენობას განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო.

29 რანგით დაბალ ლიგაში დაქვეითება

1. სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილებით კლუბი/გუნდი შესაძლებელია დაქვეითდეს რანგით დაბალ ლიგაში სსფა-ის ჩემპიონატის საშეჯიბრო დებულებით განსაზღვრული ლიგების სტრუქტურის შესაბამისად.
2. იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევი კლუბი/გუნდი ასპარეზობს ისეთ ლიგაში, რომელსაც სსფა-ის ჩემპიონატის საშეჯიბრო დებულების მიხედვით არ გააჩნია რანგით დაბალი ლიგა, ეს სანქცია არ გამოიყენება და სადისციპლინო ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას სხვა, პროპორციული სანქციის დაკისრების თაობაზე.
3. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევის განხორციელების მომენტში დამრღვევი გუნდი ასპარეზობდა ლიგაში, რომელსაც სსფა-ის საშეჯიბრო დებულებით არ გააჩნდა რანგით დაბალი ლიგა, ხოლო მომავალ სეზონში სსფა-ის საშეჯიბრო დებულებით განისაზღვრა რანგით დაბალი ლიგის ფორმირება, შესაძლებელია დამრღვევი გუნდი მაინც დაქვეითდეს ახლად შექმნილ რანგით დაბალ ლიგაში.

30 მიმდინარე ან/და სამომავლოდ დაგეგმილი ჩემპიონატიდან გარიცხვა

1. ჩემპიონატიდან გარიცხვა არის სადისციპლინო სანქცია, დაწესებული სადისციპლინო ორგანოს მიერ, რომელიც გამოხატულია გუნდისთვის მონაწილეობის უფლების ჩამორთმევაში მიმდინარე და/ან სამომავლოდ დაგეგმილ ჩემპიონატებში და გამოიყენება წინამდებარე კოდექსით და ჩემპიონატის საშეჯიბრო დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
2. აღნიშნული სანქციის გამოყენების შემთხვევაში, გუნდი შესაძლებელია გარიცხულ იქნას სსფა-ის მიერ ორგანიზებული ნებისმიერი ჩემპიონატიდან და აეკრძალოს ყველა ჩემპიონატში ასპარეზობა.

31 ტექნიკური მარცხის მინიჭება

1. ტექნიკური მარცხის მინიჭება არის სადისციპლინო სანქცია, დაწესებული სადისციპლინო ორგანოს მიერ, რომელიც აუქმებს ჩატარებული მატჩის შედეგს და დამრღვევ გუნდს ან გუნდებს უთვლის დამარცხებას ანგარიშით 0-3.

2. გუნდი, რომელსაც ენიჭება დამარცხება, ითვლება მატჩში წაგებულად, ხოლო მოწინააღმდეგე არის მოგებული, გარდა იმ შემთხვევისა როცა ორივე გუნდს მიენიჭება დამარცხება.
3. თუ, გუნდმა, რომელსაც მიენიჭა დამარცხება, მატჩი წააგო 0-3-ზე მეტი სხვაობით, მაშინ მატჩში დაფიქსირებული ანგარიში ძალაშია.
4. გუნდისთვის დამარცხების მინიჭების შემთხვევაში, ძალაშია მატჩში მონაწილე ფეხბურთელებისა და კლუბის ოფიციალური წარმომადგენლების მიმართ დაწესებული სანქციები.
5. სსფა-ის საშეჯიბრო კომიტეტის მიერ დამტკიცებული კალენდრის მიხედვით დანიშნულ ოფიციალურ მატჩზე გუნდის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ასეთ გუნდს ეთვლება დამარცხება ანგარიშით 0-3. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს სსფა-ის საშეჯიბრო კომიტეტი. ასეთი გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

32 მატჩის გადადება და გადათამაშება

1. მატჩი შეიძლება იქნას გადათამაშებული, თუ ის დაიწყო და ვერ დასრულდა ფორს მაჟორული მიზეზების გამო.
2. მატჩი შეიძლება იქნას გადადებული, თუ ის ვერ ჩატარდა - ვერ დაიწყო, გონივრული საფუძვლით.
3. ფორს მაჟორული მიზეზების გამო შეწყვეტილი მატჩი შესაძლებელია გაგრძელდეს სხვა დღეს შეწყვეტისას არსებული სათამაშო დროიდან. ასეთ შემთხვევაში, მსაჯის მიერ გამოყენებული გაფრთხილებების და გაძევებები ძალაში რჩება.
4. მატჩის გადათამაშების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ ამ კოდექსით განსაზღვრულ სადისციპლინო ორგანოს კოდექსით განსაზღვრული წესების შესაბამისად. დაუშვებელია მატჩის გადათამაშება არბიტრის შეცდომის გამო იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ შეცდომამ გავლენა იქონია მატჩის საბოლოო შედეგზე.

თავი მესამე. სანქციების გამოყენების ზოგადი წესი

33 კომბინირებული სანქციების გამოყენება

წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ერთი დისციპლინური დარღვევის ჩადენისათვის სადისციპლინო ორგანოს შეუძლია ერთდროულად გამოიყენოს რამდენიმე სანქცია.

34 სანქციების გამოყენება დისციპლინური დარღვევების ერთობლიობისას

1. წინამდებარე კოდექსის შესაბამისად დისციპლინური დარღვევების ერთობლიობისას პირს ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა ჩადენილი თითოეული დარღვევისათვის.
2. დისციპლინური დარღვევების ერთობლიობისას სანქციები გამოიყენება გამორიცხვის მეთოდით - ნაკლებად მკაცრი სპორტული სანქციის უფრო მკაცრი სპორტული სანქციით შეცვლით (შთანთქმის პრინციპი) ან გამოყენებული სანქციების ნაწილობრივ ან სრული შეკრების გზით.

35 სანქციების აღსრულების ნაწილობრივი შეჩერება

1. სადისციპლინო სანქციის აღსრულება შეიძლება შეჩერებულ იქნას სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილებით, თუ პირისთვის დაკისრებული სანქციის ვადა შეადგენს არანაკლებ 2 მატჩს ან 1

თვეს და არაუმეტეს 5 მატჩს ან 6 თვეს და თუ ეს დასაშვებია საქმის ფაქტობრივი გარემოებებით, კერძოდ, თუ დამრღვევი პირის წარსული და რეპუტაცია იძლევა ამის შესაძლებლობას.

2. დასაშვებია მხოლოდ შემდეგი სანქციების აღსრულების შეჩერება: გასახდელში შესვლის და/ან ტექნიკურ ზონაში ყოფნის აკრძალვა (მუხლი 21), სსფა-ის ეგიდით საფეხბურთო საქმიანობაში მონაწილეობის აკრძალვა (მუხლი 23), მატჩის ჩატარება გულშემატკივრის/მაყურებლის გარეშე (მუხლი 25), მატჩის ჩატარება ნეიტრალურ სტადიონზე (მუხლი 26), კონკრეტულ სტადიონზე მატჩების ჩატარების აკრძალვა (მუხლი 27).
3. სანქციის აღსრულების შეჩერება ხორციელდება სადისციპლინო ორგანოს მიერ მხოლოდ დაინტერესებული პირის შუამდგომლობით და მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სანქციის არანაკლებ ნახევარი ვადის გასვლის შემდეგ. სადისციპლინო ორგანოს ან/და სსფა-ს უფლება არ აქვთ დამოუკიდებლად მოახდინონ სადისციპლინო სანქციების აღსრულების შეჩერების ინიცირება.
4. სანქციის აღსრულების შეჩერება დაუშვებელია თუ პირის მიერ ჩადენილია დარღვევები მატჩის ოფიციალური პირების მიმართ და მატჩების შედეგებზე მანიპულაციებთან დაკავშირებით.
5. სანქციის აღსრულების შეჩერებისას, სადისციპლინო ორგანო პირს, რომლის მიმართაც ხდება სანქციის შეჩერება, უნიშნავს გამოსაცდელ ვადას 1 თვიდან 1 წლამდე.
6. თუ პირი, რომლის მიმართაც შეჩერებულია სანქციის აღსრულება, გამოსაცდელ პერიოდში ჩაიდენს სხვა დარღვევას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სანქციის გამოყენების შესაძლებლობა, აღსრულების შეჩერება ავტომატურად უქმდება და თავდაპირველ სანქციას დაემატება ახალი დარღვევისათვის გამოტანილი სანქცია.
7. თუ გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში, პირი რომლის მიმართაც შეჩერებულია სანქციის აღსრულება, არ ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სანქციის გამოყენების შესაძლებლობა, გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდეგ შეჩერებული სანქცია იხსნება.

36 სანქციების ცენტრალიზება

1. გაფრთხილებების, გაძევებებისა და დისკვალიფიკაციების აღრიცხვა ხდება სსფა-ის სადისციპლინო ორგანოების სამდივნოს მიერ და საჭიროებისამებრ, აღნიშნული სანქციების შესახებ წერილობით აცნობებს სსფა-ის საშეჯიბრო კომიტეტს, საფეხბურთო კლუბებს/გუნდებს ან/და სადისციპლინო ორგანოებს.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული სანქციების აღსრულება იწყება დაუყოვნებლივ, სანქციის მიღების მომდევნო ოფიციალური მატჩიდან იმ შემთხვევაშიც, თუ სამდივნოს წერილობითმა შეტყობინებამ დააგვიანა ან არ მივიდა ადრესატამდე.

37 სანქციის განსაზღვრა

1. სადისციპლინო ორგანო განსაზღვრავს სანქციის მოქმედებას და ხანგრძლივობას.
2. სანქციები შეიძლება შემოიფარგლოს კონკრეტული გეოგრაფიული არეალით ან კონკრეტული ჩემპიონატებით.
3. სანქციის დაწესებისას სადისციპლინო ორგანო ითვალისწინებს ფაქტობრივ გარემოებებს და სავარაუდო დამრღვევის ბრალეულობის ხარისხს.

38 განმეორებითი დარღვევები

1. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, სადისციპლინო ორგანო უფლებამოსილია გაზარდოს სანქციის მოცულობა დარღვევის განმეორების შემთხვევაში.

2. დარღვევის განმეორებად ითვლება ერთი და იმავე დარღვევის ჩადენა მიმდინარე და გასული ორი საფეხბურთო სეზონის მიმდინარეობისას.

39 ერთდროული დარღვევები

1. თუ ამ კოდექსის მიხედვით, პირს უნდა შეეფარდოს რამდენიმე ჯარიმა ერთზე მეტი დარღვევისთვის, სადისციპლინო ორგანო უფლებამოსილია ასეთ პირს დააკისროს ჯარიმა, რომელიც განსაზღვრულია მის მიერ ჩადენილი რამდენიმე დარღვევიდან ყველაზე მძიმე დარღვევისათვის. ორგანო, ამასთანავე, უფლებამოსილია, გარემოებებიდან გამომდინარე, ორმოცდაათი პროცენტით გაზარდოს ამ კოდექსით დადგენილი მაქსიმალური ჯარიმის ოდენობა.
2. ერთდროულ დარღვევებად ითვლება სხვადასხვა ხასიათის დარღვევები, რომლებსაც დამრღვევი პირი ახორციელებს დროის მოკლე მონაკვეთში (მაგ. მატჩის დროს ჩხუბი, მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა და ა.შ.) და ასევე, დაკისრებული სანქციის აღსრულების ვადაში ჩადენილი ახალი დარღვევა.

თავი მეოთხე. სპეციალური ნაწილი

40 შეურაცხმყოფელი ქცევა და სამართლიანი თამაშის წესების დარღვევა

1. გუნდები/კლუბები, ასევე, ფეხბურთელები, გუნდის ოფიციალური წარმომადგენლები, მატჩის ოფიციალური პირები და ყველა სხვა ადამიანი, ვისზეც ვრცელდება ამ კოდექსით განსაზღვრული წესები, ვალდებულნი არიან პატივი სცენ სადისციპლინო კოდექსს, IFAB-ის თამაშის წესებს, სსფა-ის სხვა რეგულაციებს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, FIFA-სა და UEFA-ს მიერ დადგენილ წესებს, რომლებიც პირდაპირ ან/და ირიბად ვრცელდება სსფა-ის მიერ ორგანიზებულ ჩემპიონატებზე.
2. თამაშის წესების დარღვევა ისჯება მსაჯის მიერ გაფრთხილებით ან გაძევებით IFAB-ის მიერ დადგენილი თამაშის წესების შესაბამისად.
3. ნებისმიერ პირს შეიძლება შეეხოს სადისციპლინო სანქცია ქვემოთ ჩამოთვლილი ან/და მსგავსი ქმედების განხორციელებისათვის:
    - ძირითადი წესების და ღირსეული მოპყრობის დარღვევა;
    - ფიზიკური ან იურიდიული პირის შეურაცხყოფა, განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი ჟესტების, ნიშნების ან ენის გამოყენებით;
    - სსფა-ის ჩემპიონატის გამოყენება არასპორტული საქციელის დემონსტრირებისათვის;
    - ქცევა, რომელიც ლახავს ორგანიზატორის ან/და ფეხბურთის რეპუტაციას;
    - ჩემპიონატის ორგანიზატორის (ფიზიკური თუ იურიდიული პირი) შეურაცხყოფა.

41 დარღვევები მატჩის ოფიციალური პირების მიმართ მატჩამდე, მატჩის მიმდინარეობისას და მატჩის შემდეგ

1. ფეხბურთელების ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლების შეურაცხმყოფელი ქცევა, ანუ მიუღებელი ლექსიკის გამოყენება, შეურაცხმყოფელი სიტყვები და გამოთქმები, აგრეთვე, შეურაცხმყოფელი ჟესტები მატჩის ოფიციალური პირების მიმართ – ისჯება 3-დან 7 მატჩამდე დისკვალიფიკაციით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, თუმცა, ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 200 (ორასი) ლარზე ნაკლები.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა სეზონის მიმდინარეობისას

განმეორებით - ისჯება დისკვალიფიკაციით 5-დან 9 მატჩამდე ოდენობით ან ჩემპიონატიდან მოხსნით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო თუმცა, ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 400 (ოთხასი) ლარზე ნაკლები. სეზონში იგულისხმება სსფა-ს ეგიდით გამართული ნებისმიერი ჩემპიონატი, კალენდარული წლის განმავლობაში.

3. ფეხბურთელების ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლების შეურაცხმყოფელი ქცევა, ანუ მიუღებელი ლექსიკის გამოყენება, შეურაცხმყოფელი სიტყვები და გამოთქმები, აგრეთვე, შეურაცხმყოფელი ჟესტები ჩემპიონატის ორგანიზატორის (ფიზიკური თუ იურიდიული პირი) მიმართ - ისჯება 3-დან 7 მატჩამდე დისკვალიფიკაციით ან ჩემპიონატიდან მოხსნით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, თუმცა, ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 200 (ორასი) ლარზე ნაკლები.
4. ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა სეზონის მიმდინარეობისას განმეორებით - ისჯება მოთამაშის ჩემპიონატიდან მოხსნით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, თუმცა, ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 500 (ხუთასი) ლარზე ნაკლები.
5. ფეხბურთელის ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ არბიტრის/ასისტენტის საქმიანობის ხელის შეშლა, მათ შორის ბარათის წართმევა, ალმის წართმევა და სხვა მსგავსი ქმედება - ისჯება ასეთი პირის 5 მატჩიანი დისკვალიფიკაციით, და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, თუმცა, ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 200 (ორასი) ლარზე ნაკლები.
6. ფეხბურთელის ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის აგრესიული ქცევა მატჩამდე, მატჩის მიმდინარეობისას ან/და მატჩის შემდეგ, მათ შორის განზრახ ბიძგი, საგნების და ბურთის სროლა და სხვა აგრესიული ქცევა მატჩის ოფიციალური პირ(ებ)ის მიმართ – ისჯება 4 მატჩიანი დისკვალიფიკაციით. და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო.
7. შეფურთხება, ჩადენილი ფეხბურთელის ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ მატჩის ოფიციალური პირების მიმართ – ისჯება 5 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 300 (სამასი) ლარზე ნაკლები.
8. განზრახ ხელის კვრა, ჩადენილი ფეხბურთელის ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ მატჩის ოფიციალური პირების მიმართ – ისჯება 4 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 200 ლარზე ნაკლები.
9. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების მცდელობა, ჩადენილი ფეხბურთელის ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ მატჩის ოფიციალური პირების მიმართ – ისჯება 5-დან 7 მატჩამდე დისკვალიფიკაციით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 200 ლარზე ნაკლები.
10. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება (განზრახ ხელის კვრის გარდა), ფეხბურთელის ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ მატჩის ოფიციალური პირების მიმართ – ისჯება ამ პირის 12 თვიანი დისკვალიფიკაციით ან სსფა-ს ორგანიზებულ სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატებში მონაწილეობის სამუდამო აკრძალვით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები, ასევე, შესაძლებელია მოხდეს გუნდისათვის 3-დან 6-მდე რაოდენობის ქულების ჩამოკლება.
11. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება (განზრახ ხელის კვრის გარდა), ფეხბურთელის ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ მატჩის ოფიციალური პირების მიმართ, თუ ეს მოხდება გუნდისათვის სეზონის განმავლობაში მეორედ – ისჯება გუნდის ჩემპიონატიდან მოხსნით, მიმდინარე სეზონში ან სსფა-ს ორგანიზებულ სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატებში მონაწილეობის გარკვეული, უფრო ხანგრძლივი ვადით აკრძალვით და ჯარიმით, რომლის ზუსტ

ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. უშუალოდ შეურაცხყოფის მიმყენებელი ფეხბურთელ(ებ)ი და წარმომადგენელ(ებ)ი მიიღებენ შესაბამის დისკვალიფიკაციას, ხოლო სხვა პირებს უფლება აქვთ, სატრანსფერო ნორმების დაცვით, ჩემპიონატში მიიღონ მონაწილეობა სხვა კლუბის შემადგენლობაში, იმავე სეზონშიც.

12. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება (განზრახ ხელის კვრის გარდა), ფეხბურთელების ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ (ჯამში ორი ან მეტი პირი) მატჩის ოფიციალური პირების მიმართ – ისჯება გუნდის ჩემპიონატიდან მოხსნით ან სსფა-ს ორგანიზებულ სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატებში მონაწილეობის გარკვეული, უფრო ხანგრძლივი ვადით აკრძალვით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. უშუალოდ შეურაცხყოფის მიმყენებელი ფეხბურთელ(ებ)ი და წარმომადგენელ(ებ)ი მიიღებენ შესაბამის დისკვალიფიკაციას, ხოლო სხვა ფეხბურთელებს უფლება აქვთ, სატრანსფერო ნორმების დაცვით, ჩემპიონატში მიიღონ მონაწილეობა სხვა კლუბის შემადგენლობაში, იმავე სეზონშიც, თუ სადისციპლინო ორგანოს მიერ სხვა რამ არ იქნება დადგენილი.
13. მიმდინარე სეზონში მოხსნილი გუნდი, მომდევნო სეზონში, ასპარეზობას გააგრძელებს რანგით ქვედა ლიგაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
14. ამ მუხლში განსაზღვრული ჯარიმის გადახდაზე პასუხისმგებელია გუნდი/კლუბი და სადისციპლინო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, სადისციპლინო და საშეჯიბრო ორგანოები, ერთობლივი კოორდინაციით, უფლებამოსილნი არიან გუნდს შეუჩერონ მოთამაშეების დამატების უფლება როგორც სატრანსფერო, ისე არასატრანსფერო წესით და ჯარიმის სრულად დაფარვამდე აუკრძალონ აღნიშნული. ინდივიდუალური დისკვალიფიკაციის მქონე მოთამაშეს არ აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ეგიდით გამართულ ნებისმიერ ჩემპიონატში, სანამ ჯარიმა არ იქნება გადახდილი.

42 დარღვევები მატჩამდე, მატჩის მიმდინარეობისას და მატჩის შემდეგ ფეხბურთელებისა და სხვა პირების მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ მატჩის ოფიციალური პირებს

1. ფეხბურთელი, რომელიც ერთ მატჩში ორი გაფრთხილების გამო გაძევებული იქნება მინდვრიდან – ისჯება 1 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ამისთვის სადისციპლინო გადაწყვეტილების მიღება არ არის საჭირო. დისკვალიფიკაციას აღრიცხავს და აღასრულებს სსფა-ის საშეჯიბრო კომიტეტი.
2. „ბოლო იმედის ჯარიმა“, ანუ მეტოქე ფეხბურთელისთვის თამაშის წესების დარღვევით გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობაში ხელის შეშლისთვის გაძევებული ფეხბურთელი – ისჯება 1 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ამისთვის სადისციპლინო გადაწყვეტილების მიღება არ არის საჭირო. დისკვალიფიკაციას აღრიცხავს და აღასრულებს სსფა-ის საშეჯიბრო კომიტეტი.
3. ფეხბურთელის მიერ თამაშის წესების სერიოზული დარღვევა (უხეში თამაში), ანუ ფეხბურთელის მიერ მეტოქის მიმართ გადამეტებული ძალის ან სიხისტის გამოყენება ბურთისათვის ბრძოლისას, როცა ბურთი თამაშშია, მათ შორის ბიძგი, დარტყმა, რომელმაც არ გამოიწვია მეტოქის ტრავმა - ისჯება 2 მატჩიანი დისკვალიფიკაციით.
4. ფეხბურთელის ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის აგრესიული ქცევა მატჩამდე, მატჩის მიმდინარეობისას ან/და მატჩის შემდეგ, ანუ გადამეტებული ძალის ან სიხისტის გამოყენება მეტოქის წინააღმდეგ, არა ბურთის მოპოვებისათვის და/ან სხვა პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება მატჩის ოფიციალურ პირად, მათ შორის განზრახ ბიძგი, საგნების და ბურთის სროლა და სხვა აგრესიული ქცევა – ისჯება 3 მატჩიანი დისკვალიფიკაციით.
5. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულმა დარღვევამ გამოიწვია მეტოქის ტრავმა, ასეთი დარღვევა - ისჯება 3 მატჩიანი დისკვალიფიკაციით.

6. ფეხბურთელის ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის შეურაცხმყოფელი ქცევა, ანუ მიუღებელი ლექსიკის გამოყენება, შეურაცხმყოფელი სიტყვები და გამოთქმები, აგრეთვე შეურაცხმყოფელი ჟესტები მეტოქის ან/და სხვა პირების მიმართ, რომლებიც არ ითვლებიან მატჩის ოფიციალურ პირებად – ისჯება 2-დან 4 მატჩამდე დისკვალიფიკაციით და ჯარიმით რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო.
7. შეფურთხება, ჩადენილი ფეხბურთელის ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ, მეტოქის ან სხვა პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება მატჩის ოფიციალურ პირად – ისჯება 5 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 200 ლარზე ნაკლები.
8. ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობა, ჩადენილი ფეხბურთელის ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ, მეტოქის ან სხვა პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება მატჩის ოფიციალურ პირად - ისჯება 4-დან 6 მატჩამდე დისკვალიფიკაციით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო.
9. ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, ფეხბურთელის ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ, მეტოქის ან სხვა პირის მიმართ, რომელიც არ ითვლება მატჩის ოფიციალურ პირად – ისჯება 10 მატჩიანი დისკვალიფიკაციით ან ჩემპიონატიდან მოხსნით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები.
10. ფეხბურთელის მიერ „ფეარ-პლეის“ („სამართლიანი თამაში“) პრინციპების უხეში დარღვევა, რომელიც ნახსენები არ არის წინამდებარე მუხლში – ისჯება 1 მატჩიანი დისკვალიფიკაციით.
11. ამ მუხლში განსაზღვრული ჯარიმის გადახდაზე პასუხისმგებელია გუნდი/კლუბი და სადისციპლინო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, სადისციპლინო და საშეჯიბრო ორგანოები, ერთობლივი კოორდინაციით, უფლებამოსილნი არიან გუნდს შეუჩერონ მოთამაშეების დამატების უფლება როგორც სატრანსფერო, ისე არასატრანსფერო წესით და ჯარიმის სრულად დაფარვამდე აუკრძალონ აღნიშნული. ინდივიდუალური დისკვალიფიკაციის მქონე მოთამაშეს არ აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ეგიდით გამართულ ნებისმიერ ჩემპიონატში, სანამ ჯარიმა არ იქნება გადახდილი.

43 არასპორტული საქციელი

არასპორტული საქციელი, ფეხბურთელების და კლუბის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ მატჩამდე, მატჩის მიმდინარეობისას და მატჩის შემდეგ, რომელიც არ განეკუთვნება წინამდებარე კოდექსის სხვა დარღვევებს – ისჯება დისკვალიფიკაციით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო.

44 ჩხუბი

1. ჩხუბი, ანუ ფეხბურთელების ან/და კლუბის ოფიციალური წარმომადგენლების რამდენიმე (არაუმეტეს ოთხი) პირის შეტაკება, რასაც თან ახლავს დარტყმების ურთიერთ მიყენება – ისჯება 4-დან 6 მატჩამდე დისკვალიფიკაციით ან ჩემპიონატიდან მოხსნით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 200 ლარზე ნაკლები.
2. მასობრივი ჩხუბი, ანუ ჩხუბი ოთხზე მეტი პირის მონაწილეობით, რომლებიც არიან ფეხბურთელები ან/და კლუბის ოფიციალური წარმომადგენლები – ისჯება 6-დან 8 მატჩამდე დისკვალიფიკაციით ან კლუბის/გუნდის ჩემპიონატიდან მოხსნით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები.

3. თუ, ჩხუბის დროს შეუძლებელია დამრღვევი პირის ამოცნობა, სადისციპლინო ორგანო დასჯის კლუბს/გუნდს, რომელსაც დამრღვევები მიეკუთვნებიან, ფულადი ჯარიმით, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო.
4. პირი, რომელიც ცდილობს ჩხუბის თავიდან აცილებას, სხვების დაცვას ან ჩხუბში ჩართული სხვა პირების გაშველებას, არ ისჯება.
5. ამ მუხლში ამ მუხლში განსაზღვრული ჯარიმის გადახდაზე პასუხისმგებელია გუნდი/კლუბი და სადისციპლინო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, სადისციპლინო და საშეჯიბრო ორგანოები, ერთობლივი კოორდინაციით, უფლებამოსილნი არიან გუნდს შეუჩერონ მოთამაშეების დამატების უფლება როგორც სატრანსფერო, ისე არასატრანსფერო წესით და ჯარიმის სრულად დაფარვამდე აუკრძალონ აღნიშნული. ინდივიდუალური დისკვალიფიკაციის მქონე მოთამაშეს არ აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ეგიდით გამართულ ნებისმიერ ჩემპიონატში, სანამ ჯარიმა არ იქნება გადახდილი.

45 მატჩში არამართლზომიერი მონაწილეობა და ცვლილებების არამართლზომიერი გამოყენება

1. მატჩში არამართლზომიერი მონაწილეობა (ოქმში შეყვანა მონაწილეობას არ ნიშნავს), ანუ მატჩში ისეთი ფეხბურთელის მონაწილეობა, რომელიც გუნდის განაცხადში (დამატებით განაცხადში) არ იყო რეგისტრირებული ჩემპიონატის დებულებით განსაზღვრული წესით ან/და შეყვანილი იყო არასარწმუნო დოკუმენტების საფუძველზე, რომელიც არ იქნა გაფორმებული დადგენილი წესით, ასევე სხვა არამართლზომიერი მონაწილეობა მატჩში (ჩემპიონატის დებულებით, წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული დარღვევები) – ისჯება დამრღვევი კლუბისთვის/გუნდისთვის ტექნიკური წაგების მინიჭებით ყველა იმ მატჩში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ასეთმა ფეხბურთელმა და ჯარიმით. რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 150 ლარზე ნაკლები. დამრღვევ ფეხბურთელს, რეგისტრირებული სტატუსის მინიჭებისას, დაეკისრება დისკვალიფიკაცია 4 მატჩის ვადით.
2. მითითებულ ლიგებში - საქართველოს ეროვნული ლიგა 1, ეროვნული ლიგა 2, ლიგა 3, ლიგა 4, რეგიონული ლიგები (ყველა რეგიონული ლიგა), ჭაბუკთა ლიგები, ფუტსალის ლიგა (ფუტსალის ლიგის შემთხვევაში იგულისხმება დაშვებულ ერთზე მეტი ფეხბურთელი) - რეგისტრირებული ფეხბურთელის მატჩში მონაწილეობა ნებისმიერი დროით ან მატჩზე გავლენის ხარისხით - ისჯება დამრღვევი კლუბისთვის/გუნდისთვის ტექნიკური წაგების მინიჭებით ყველა იმ მატჩში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ასეთმა ფეხბურთელმა და ჯარიმით. რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 200 ლარზე ნაკლები. დამრღვევ ფეხბურთელს, რეგისტრირებული სტატუსის მინიჭებისას, დაეკისრება დისკვალიფიკაცია 5 მატჩის ვადით.
3. ვინაიდან სსფა-ს ეგიდით, მოყვარულთა ლიგის 2026 წლის ფარგლებში იმართება რამდენიმე სხვადასხვა ეტაპი და მათთვის შექმნილია ცალ-ცალკე საშეჯიბრო დებულებები, თითოეულ მათგანში აღნიშნული რეგულაცია განსაზღვრულია სხვადასხვა მუხლებში და სადისციპლინო ორგანო მითითებას გააკეთებს შემთხვევის ეტაპისადმი მიკუთვნებადობის პრინციპით, კონკრეტული დებულების კონკრეტულ მუხლზე.
4. კლუბის/გუნდის მიერ, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დარღვევის განმეორებით განხორციელების შემთხვევაში, კლუბი/გუნდი მოიხსნება იმ ჩემპიონატიდან, რომელშიც მოხდა განმეორებითი დარღვევა და დაქვეითდება რანგით დაბალ დივიზიონში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
5. დისკვალიფიკაციის ვადის გასვლამდე, დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის მატჩში მონაწილეობა

ისჯება ამ ფეხბურთელის დამატებით 3 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმის დაწესებით 100 ლარის ოდენობით. აღნიშნული დარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ფეხბურთელი მოიხსნება ჩემპიონატიდან.

6. სსფა-ის საშეჯიბრო დებულებით გათვალისწინებული ფეხბურთელების ცვლილებების წესის დარღვევა ისჯება დამრღვევი კლუბისთვის/გუნდისთვის ჯარიმის დაწესებით 100 ლარის ოდენობით და გუნდისათვის/კლუბისათვის მატჩში ტექნიკური მარცხის (0-3) ჩათვლით.
7. კონკრეტულ ლიგაში ორი მატჩის გამართვის შემდეგ, შესაბამისი საშეჯიბრო დებულების მიხედვით განსაზღვრული, ჩემპიონატში მონაწილეობის საფასურის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გუნდს/კლუბს, მომდევნო ტურის მატჩში ჩაეთვლება ტექნიკური მარცხი 0-3 (მეორე გუნდის კლუბის მოგება 3-0). თუ გუნდი/კლუბი აღნიშნულის შემდეგაც არ გადაიხდის მითითებულ თანხას, მას ჩაეთვლება მეორე ტექნიკური მარცხი და, კოდექსში მითითებული წესის შესაბამისად, მოიხსნება ჩემპიონატიდან.

46 მაყურებლის პროვოცირება

1. ფეხბურთელების ან/და კლუბის ოფიციალური წარმომადგენლების პროვოკაციული მოქმედებები, რომლებიც ქმნიან სტადიონზე უწესრიგობის წარმოქმნის საფრთხეს – ისჯება 2 მატჩიანი დისკვალიფიკაციით.
2. ფეხბურთელების ან/და კლუბის ოფიციალური წარმომადგენლების პროვოკაციული მოქმედებები, რომლებმაც გამოიწვიეს სტადიონზე უწესრიგობის წარმოქმნა – ისჯება 4 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 200 ლარზე ნაკლები.

47 მაყურებლების მიერ ჩადენილი დარღვევები

1. მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ მაყურებლების მიერ სტადიონზე მიუღებელი ლექსიკის და/ან შეურაცხმყოფელი გამონათქვამების სკანდირება – ისჯება ჯარიმით 150 ლარის ოდენობით.
2. მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ სტადიონზე მაყურებლების მიერ ტრიბუნებზე, მინდორზე და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე საგნების (პიროტექნიკური ნაკეთობების გარდა) სროლა – ისჯება ჯარიმით 200 ლარის ოდენობით.
3. მაყურებლების მიერ ნასროლი საგნების მოთამაშეებზე, კლუბის და მატჩის ოფიციალურ პირებზე, გულშემატკივრებზე მოხვედრის შემთხვევაში დამნაშავე კლუბი - ისჯება ჯარიმით 300 ლარის ოდენობით და/ან მაყურებლების გარეშე 2-დან 4 მატჩამდე ჩატარებით ან ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 2-დან 4 მატჩამდე ჩატარებით.
4. მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ სტადიონზე მაყურებლების მიერ პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენება ტრიბუნებზე, მინდორზე და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე სროლის გარეშე – ისჯება ჯარიმით 150 ლარის ოდენობით.
5. მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ სტადიონზე მაყურებლების მიერ პიროტექნიკური ნაკეთობების სროლა ტრიბუნებზე, მინდორზე და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე – ისჯება ჯარიმით 300 ლარის ოდენობით.
6. მაყურებლების მიერ ნასროლი პიროტექნიკური ნაკეთობების მოთამაშეებზე, კლუბის და მატჩის ოფიციალურ პირებზე, გულშემატკივრებზე მოხვედრის შემთხვევაში დამნაშავე კლუბი - ისჯება ჯარიმით 500 ლარის ოდენობით და/ან მაყურებლების გარეშე 3-დან 5 მატჩამდე ჩატარებით ან ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 3-დან 5 მატჩამდე ჩატარებით.
7. მაყურებლის/გულშემატკივრის მატჩამდე, მატჩისას და მატჩის შემდეგ სტადიონზე წარმოქმნილი უწესრიგობისას (მოიცავს ამ მუხლში გათვალისწინებულ ქმედებებს), რომელსაც თან ახლავს ჩხუბი,

ძალადობა, დარბევა, ცეცხლის წაკიდება, ქონების დაზიანება, ხელთარსებული საშუალებების გამოყენება, რამაც არ გამოიწვია მატჩის ჩაშლა, დამნაშავე კლუბი – ისჯება ჯარიმით 800 ლარის ოდენობით და/ან მაყურებლებლის გარეშე 5-დან 7 მატჩამდე ჩატარებით ან ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 5-დან 7 მატჩამდე ჩატარებით.

8. მაყურებლების მიერ სტადიონზე ბანერების, პლაკატების, ტრანსპარანტების და შეურაცხმყოფელი ხასიათის ან მიუღებელი ლექსიკის შემცველი სხვა საშუალებების საჯარო დემონსტრირება – ისჯება ჯარიმით 150 ლარის ოდენობით.
9. მაყურებლების არამართლზომიერი ქმედებები, ანუ მაყურებლების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები, რომლებიც არ ჯდება წინამდებარე კოდექსის სხვა ნორმების მოქმედების ფარგლებში – ისჯება ჯარიმით 200 ლარის ოდენობით, ხოლო სერიოზული შედეგების დადგომის შემთხვევაში – ისჯება მაყურებლების გარეშე 2-დან 4 მატჩამდე ჩატარებით ან ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 2-დან 4 მატჩამდე ჩატარებით.

48 პასუხისმგებლობა მაყურებელთა ქცევაზე

1. მასპინძელი გუნდი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საშეჯიბრო კალენდრის მიხედვით მასპინძელი გუნდი წარმოადგენს ე.წ. ნომინალურ მასპინძელს და მატჩი იმართება ნეიტრალურ სტადიონზე, წინამდებარე კოდექსის შესაბამისად პასუხისმგებელია დარღვევებზე, რომლებსაც ჩაიდენს მაყურებლები/გულშემატკივარი და მიმართულია ფეხბურთელების, გუნდის ოფიციალური წარმომადგენლების ან/და მატჩის ოფიციალური პირების წინააღმდეგ.
2. სტუმარი გუნდი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საშეჯიბრო კალენდრის მიხედვით სტუმარი გუნდი წარმოადგენს ე.წ. ნომინალურ სტუმარს და მატჩი იმართება ნეიტრალურ სტადიონზე, წინამდებარე კოდექსის შესაბამისად პასუხს აგებს მისი მხარდამჭერი გულშემატკივრების მიერ ჩადენილ ნებისმიერ დარღვევებზე.
3. მაყურებელთა ქცევაზე პასუხისმგებელია ნებისმიერი კლუბი/გუნდი, რომელსაც დაუდგინდა მისადმი იმ პირების კუთვნილება, რომლებმაც განახორციელეს სადისციპლინო დარღვევა. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი პირების რომელიმე გუნდის მიმართ კუთვნილება ვერ დგინდება, არცერთ კლუბს/გუნდს არ დაეკისრება სადისციპლინო სანქცია.
4. იმ შემთხვევაში, თუ სტადიონის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სსფა და ასეთ სტადიონზე ნეიტრალური გულშემატკივარი იწვევს მასობრივ არეულობას ან/და არღვევს ამ კოდექსით განსაზღვრულ წესებს, გუნდებს სადისციპლინო პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ. ნეიტრალურად ითვლება გულშემატკივარი, რომლის კუთვნილება არცერთი გუნდის მიმართ არ დასტურდება.

49 მოწევა ტექნიკურ ზონაში და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე

1. მოწევა, ფეხბურთელის ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ, მატჩამდე, მატჩის მიმდინარეობისას ან/და მატჩის შემდეგ, ტექნიკურ ზონაში და მინდვრის მიმდებარე ტერიტორიაზე – ისჯება ჯარიმით 50 ლარის ოდენობით.
2. სადისციპლინო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, ფეხბურთელი ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენელი დამატებით დაისჯება დისკვალიფიკაციით 2 მატჩის ვადით.
3. პირის მიერ არაერთხელ (ორჯერ და მეტჯერ ერთ და მეტ მატჩში), წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დისციპლინური დარღვევის ჩადენისთვის, სადისციპლინო ორგანოს შეუძლია ასეთი პირის მიმართ გამოიყენოს დისკვალიფიკაცია 4 მატჩის ვადით და დააჯარიმოს იგი 100 ლარის ოდენობით.
4. ამ მუხლში ამ მუხლში განსაზღვრული ჯარიმის გადახდაზე პასუხისმგებელია გუნდი/კლუბი და

სადისციპლინო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, სადისციპლინო და საშეჯიბრო ორგანოები, ერთობლივი კოორდინაციით, უფლებამოსილნი არიან გუნდს შეუჩერონ მოთამაშეების დამატების უფლება როგორც სატრანსფერო, ისე არასატრანსფერო წესით და ჯარიმის სრულად დაფარვამდე აუკრძალონ აღნიშნული. ინდივიდუალური დისკვალიფიკაციის მქონე მოთამაშეს არ აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ეგიდით გამართულ ნებისმიერ ჩემპიონატში, სანამ ჯარიმა არ იქნება გადახდილი.

50 ტექნიკურ ზონაში გარეშე პირთა ყოფნა

მატჩის დროს ტექნიკურ ზონაში იმ პირების ყოფნა, რომლებიც არ არიან შეყვანილი მატჩის ოქმში, გამოიწვევს გუნდის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

51 მატჩის მსვლელობაში ჩარევა

ფეხბურთელის, რომელიც არ იმყოფება მინდორზე და კლუბის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ განზრახ მატჩის მსვლელობაში ჩარევა, რასაც მოჰყვება მსაჯის მიერ ასეთი პირების ტექნიკური ზონიდან გაძევება - ისჯება ჯარიმით 50 ლარის ოდენობით.

52 მატჩზე გუნდის გამოუცხადებლობა

1. ჩემპიონატის მატჩზე გუნდის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, (განურჩევლად იმისა თასის სისტემით იმართება იგი თუ ლიგის), მას ჩაეთვლება წაგება 0-3 (მეტოქეს მოგება 3-0) და დაეკისრება ჯარიმა 300 ლარის ოდენობით. სეზონის განმავლობაში ორჯერ მატჩზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში გუნდი/კლუბი მოიხსნება ჩემპიონატიდან და მომავალ სეზონს დაიწყებს რანგით დაბალ ლიგაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
2. კონკრეტულ შემთხვევებში, სადისციპლინო ორგანო უფლებამოსილია დაუშვას გამონაკლისი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ზედიზედ ორჯერ გუნდის გამოუცხადებლობის შემთხვევაში არ მოხსნას ჩემპიონატიდან და დართოს ნება გააგრძელოს ასპარეზობა.
3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული დარღვევის ორგანიზატორ პირებს, თუ მათ შეგნებულად უარი თქვეს მატჩში მონაწილეობაზე და მათი წაქეზებით გუნდი არ გამოცხადდა მატჩზე, გარკვეული ვადით უნდა აეკრძალოთ სსფა-ის ეგიდით სამოყვარულო საფეხბურთო საქმიანობა.
4. მატჩზე გუნდის გამოცხადება 7-ზე ნაკლები ფეხბურთელის შემადგენლობით ითვლება მატჩზე გამოუცხადებლობად და ისჯება ამ მუხლის შესამაბისად. მოლოდინის დრო გაუქმებულია, შესაბამისად, აღნიშნული რეგულაცია ესადაგება იმ დროს, როდესაც კონკრეტული მატჩი, სათამაშო მოედანზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, უნდა დაიწყოს.

53 მატჩზე მსაჯის გამოუცხადებლობა

1. სსფა-ს მიერ ორგანიზებული სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩზე, არასაპატიო მიზეზით, მსაჯის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება ჯარიმა, რომლის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს 100 ლარს. ხოლო იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში - დამრღვევ პირს აეკრძალება მსაჯობა სსფა-ს მიერ ორგანიზებულ შესაბამის სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატში გარკვეული ვადით ან უვადოდ.

2. თუ სამოყვარულო საფეხბურთო მატჩის დაწყება ჭიანურდება მსაჯთა ბრიგადის მიზეზით, თითოეულ დამრღვევ მსაჯს ეკისრება ფულადი სანქცია 50 ლარის ოდენობით.
3. არბიტრებისათვის სანქციის დაკისრება ხდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილებასთან თანამშრომლობით.
4. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯარიმა არ დაეკისრება იმ მსაჯებს, რომელთა მოედანზე არყოფნა სამოყვარულო საფეხბურთო მატჩის დაწყების დროს, გამოწვეულია სტადიონის ტექნიკური გაუმართავობის ან სხვა ობიექტური მიზეზის შედეგად.
5. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული შედეგის დადგომისას, სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი გადაიდება განსაზღვრული ვადით, რომლის ჩატარების დროს და ადგილს განსაზღვრავს სსფა-ის საშეჯიბრო კომიტეტი.

54 მატჩზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით

1. გუნდის/კლუბის ან/და მსაჯის გამოუცხადებლობა მატჩზე საპატიო მიზეზით არ ითვლება ამ კოდექსის დარღვევად და პირს სანქცია ჯარიმის ან მოხსნის სახით არ დაეკისრება.
2. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ფორს-მაჟორული მდგომარეობა, ავადმყოფობა ან/და სხვა დაუძლეველი ძალა, რომელსაც სადისციპლინო ორგანო მიიჩნევს საპატიო მიზეზად.
3. სავალდებულოა საპატიო მიზეზის ქონა დადასტურებული იყოს მტკიცებულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი მიზეზი საპატიოდ ვერ ჩაითვლება.

55 მატჩის დაწყების შეფერხება

1. მატჩის, დადგენილ დროს დაწყების შეფერხება გუნდის მიზეზით, პირველ ჯერზე ისჯება შენიშვნით.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული დარღვევის განმეორების შემთხვევაში, გუნდს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო.

56 უარი მატჩის გაგრძელებაზე

1. ჩემპიონატის მატჩის გაგრძელებაზე უარი, ანუ გუნდის თვითნებური წასვლა მინდვრიდან მსაჯის ნებართვის გარეშე და შემდგომი უარი მატჩის გაგრძელებაზე – ისჯება ტექნიკური მარცხის მინიჭებით (ანგარიშით 0-3) და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 300 ლარზე ნაკლები.
2. თასის სისტემით გამართული ჩემპიონატის მატჩის გაგრძელებაზე უარი - ისჯება ჩემპიონატიდან მოხსნით.
3. ლიგის სისტემით გამართულ ჩემპიონატში, ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული დარღვევის განმეორების შემთხვევაში, გუნდი მოიხსნება ჩემპიონატიდან.

57 მატჩის დროებით შეწყვეტა ან/და ჩაშლა

1. გუნდის ფეხბურთელების და/ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლების უდისციპლინო ქცევისთვის, რამაც გამოიწვია მატჩის დროებითი შეწყვეტა, დამრღვევი გუნდი – ისჯება ჯარიმით 200 ლარის ოდენობით.
2. გუნდის ფეხბურთელების და/ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლების უდისციპლინო ქცევისთვის, რამაც გამოიწვია მატჩის ჩაშლა, დამრღვევ გუნდს ეთვლება ტექნიკური მარცხი (ანგარიშით 0-3) და ჯარიმდება 400 ლარის ოდენობით.
3. ორივე გუნდის ფეხბურთელების და/ან კლუბის ოფიციალური წარმომადგენლების უდისციპლინო

ქცევისთვის, რამაც გამოიწვია მატჩის ჩაშლა, ორივე გუნდს ეთვლება ტექნიკური მარცხი (ანგარიშით 0-3) და ორივე გუნდი ჯარიმდება 400 ლარის ოდენობით.

4. მატჩის მსვლელობაში იმ პირების ჩარევა, რომლებიც არ არიან ფეხბურთელები და კლუბის ოფიციალური წარმომადგენლები, რამაც გამოიწვია მასიური უწესრიგობა, რის გამოც დროებით შეწყდა მატჩი, დამრღვევი გუნდი ისჯება ჯარიმით 100 ლარის ოდენობით.
5. მატჩის მსვლელობაში იმ პირების ჩარევა, რომლებიც არ არიან ფეხბურთელები და კლუბის ოფიციალური წარმომადგენლები, რამაც გამოიწვია მასიური უწესრიგობა, რის გამოც ჩაიშალა მატჩი, დამრღვევი გუნდი ისჯება ტექნიკური მარცხის მინიჭებით (ანგარიშით 0-3) და ჯარიმით 300 ლარის ოდენობით. ამასთანავე, დამრღვევს გუნდს შესაძლოა დაეკისროს 1-დან 5 მატჩამდე მაყურებლის გარეშე ჩატარება ან ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 1-დან 5 მატჩამდე ჩატარებით.

58 მატჩის ნაადრევად დასრულება

1. მსაჯის მიერ, სსფა-ის ორგანიზებული სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატის დებულებით დადგენილი მატჩის სათამაშო დროის თვითნებური შემცირება და სამოყვარულო საფეხბურთო მატჩის ნაადრევად დასრულება, ისჯება ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 200 ლარს.
2. მსაჯის იძულება ან წაქეზება ფეხბურთელის ან ოფიციალური წარმომადგენლის მიერ მატჩის ნაადრევად დასრულების მიზნით, ისჯება ჯარიმით 100 ლარის ოდენობით და დისკვალიფიკაციით 2 მატჩამდე ვადით.
3. ამ მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, მსაჯს აეკრძალება სსფა-ს მიერ ორგანიზებულ შესაბამის სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატში მსაჯობა გარკვეული დროით, რომლის ვადას განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო.
4. არბიტრებისათვის სანქციის დაკისრება ხდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილებასთან თანამშრომლობით.
5. ეს მუხლი არ ვრცელდება მსაჯის მიერ მატჩის ნაადრევად დასრულებაზე, მსაჯზე ზეწოლის ან/და მისი შეურაცხყოფის შემთხვევაში.

59 დისკრიმინაცია და რასიზმი, ნაცისტური ატრიბუტიკისა და სიმბოლიკის საჯარო დემონსტრირება

1. ფეხბურთელის ან გუნდის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ სხვა პირის შეურაცხყოფა რასობრივი კუთვნილების, კანის ფერის, ენის, რელიგიის, წარმომავლობის ან/და სხვა ნიშნით – ისჯება 3-დან 5 მატჩამდე დისკვალიფიკაციით და გუნდის ჯარიმით 300 ლარის ოდენობით.
2. მაყურებლის/გულშემატკივრის მიერ რასობრივი კუთვნილების, კანის ფერის, ენის, რელიგიის, წარმომავლობის ან/და სხვა ნიშნით რომელიმე პირის შეურაცხყოფის შემთხვევაში, კლუბი/გუნდი – ისჯება ჯარიმით 200 ლარის ოდენობით ან/და მაყურებლის გარეშე 1-დან 3 მატჩამდე ჩატარებით ან/და 3 ქულის ჩამოკლებით ლიგის სისტემით ჩატარებულ ჩემპიონატში დაგროვილი ქულების საერთო რაოდენობიდან.
3. მაყურებლის/გულშემატკივრის მიერ ნაცისტური ატრიბუტიკის სიმბოლიკის ან სხვა მსგავსი ატრიბუტიკის ან სიმბოლიკის, ასევე რასისტული ან დისკრიმინაციული ხასიათის მქონე ბანერების, პლაკატების და სხვა საშუალებების საჯარო დემონსტრირების შემთხვევაში, კლუბი/გუნდი – ისჯება ჯარიმით 100 ლარის ოდენობით ან/და ნეიტრალურ სტადიონზე სხვა ქალაქში 1-დან 3 მატჩის ჩატარებით ან მაყურებლების გარეშე 1-დან 3 მატჩის ჩატარებით.
4. ფეხბურთელის ან/და ოფიციალური წარმომადგენლის მიერ ნაცისტური ატრიბუტიკის სიმბოლიკის ან სხვა მსგავსი ატრიბუტიკის ან სიმბოლიკის, ასევე რასისტული ან დისკრიმინაციული ხასიათის

მქონე ბანერების, პლაკატების და სხვა საშუალებების საჯარო დემონსტრირების შემთხვევაში, კლუბი/გუნდი – ისჯება ჯარიმით 200 ლარის ოდენობით და დამრღვევი პირის დისკვალიფიკაციით 3-დან 5 მატჩამდე.

5. პირი თავისუფლდება წინამდებარე მუხლში მითითებული ქმედებებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობისაგან, იმ შემთხვევაში, თუ ის დაამტკიცებს, რომ დარღვევა ჩადენილი იქნა მესამე პირის მიერ მასზე პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.

60 დოკუმენტების გაყალბება და ყალბი დოკუმენტების გამოყენება

1. ფიზიკური პირების მიერ სსფა-ში წარსადგენი/წარდგენილი დოკუმენტების გაყალბება, სამოყვარულო ფეხბურთთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისას ყალბი დოკუმენტების გამოყენება, ასევე, კანონის დარღვევით მოპოვებული დოკუმენტების გამოყენება – ისჯება სსფა-ის ეგიდით სამოყვარულო ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვით არანაკლებ 6 თვით. სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილებით, ფიზიკური პირი, რომელმაც განახორციელა გაყალბება ან/და ფალსიფიკაცია – ისჯება ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 300 ლარზე ნაკლები.
2. კლუბის/გუნდის მიერ ჩემპიონატში მონაწილეობასთან დაკავშირებით ყალბი დოკუმენტების გამოყენება, სსფა-ში ყალბი დოკუმენტების წარდგენა, ასევე კანონის დარღვევით მოპოვებული დოკუმენტების გამოყენება – ისჯება, არანაკლებ 3 ქულის დაკლებით ან/და ოლიმპიური სისტემით ჩატარებული ბოლო ოფიციალურ მატჩში ტექნიკური მარცხის მინიჭებით და ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 1000 ლარზე ნაკლები.

61 გუნდის შეუსაბამო საქციელი

გუნდის შეუსაბამო საქციელი, ანუ გუნდიდან 5 და მეტი მოთამაშის გაფრთხილება ან 4 და მეტი გაფრთხილება პლუს 1 გაძევება ერთ მატჩში ან გუნდიდან 2 და მეტი ფეხბურთელის გაძევება ერთ მატჩში - ისჯება ჯარიმით 100 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება 200 ლარით.

62 ჩემპიონატების დისკრედიტაცია

ფეხბურთელების და კლუბის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ იმ შეჯიბრებების დისკრედიტაცია, რომელზედაც ვრცელდება წინამდებარე კოდექსის მოქმედება, ასევე სსფა-ის, მატჩის ოფიციალური პირების და ოპონენტი კლუბების მიმართ პრესის, ტელევიზიის, სოციალური მედიისა და სხვა მასობრივი საშუალებებით და/ან საჯარო ფორმით არაკორექტული, შეურაცხმყოფელი და დაუსაბუთებელი განცხადებების გაკეთებისა და/ან პროვოკაციული აგიტაციის შემთხვევაში კლუბი – ისჯება ჯარიმით, რომლის ზუსტ ოდენობასაც განსაზღვრავს სადისციპლინო ორგანო, მაგრამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. მსგავსი ქმედების განმეორების შემთხვევაში განცხადების უშუალო ავტორ ფიზიკურ პირს შესაძლებელია აეკრძალოს სამოყვარულო ფეხბურთთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა 6 თვის ვადით.

კარი მესამე. სადისციპლინო ორგანოები და მათი კომპეტენცია

თავი პირველი. ზოგადი დებულებები

63 ზოგადი წესი

1. სსფა თავისი იურისდიქციის ფარგლებში პასუხიმგებელია ჩადენილი დარღვევების გამოძიებაზე, სადისციპლინო დევნაზე და დარღვევების წინააღმდეგ სანქციების გატარებაზე.
2. სსფა-ის იურისდიქცია ვრცელდება ორგანიზაციის მიერ გამართულ ჩემპიონატებზე და ოფიციალურ მატჩებზე. სსფა-ის იურისდიქცია არ ვრცელდება სამოყვარულო საფეხბურთო კლუბებს/გუნდებს შორის გამართულ ამხანაგურ მატჩებზე.
3. სსფა-ის მიერ ორგანიზებული ჩემპიონატების მონაწილე ყველა სამოყვარულო საფეხბურთო კლუბი/გუნდი ვალდებულია ითანამშრომლოს სსფა-ის საშეჯიბრო კომიტეტთან, დროებით ან მუდმივმოქმედ შიდა საგამოძიებო ორგანოებთან, სადისციპლინო ორგანოებთან, რათა თითოეულ დარღვევაზე მოხდეს დროული და ეფექტური გამოძიება, ხოლო სადისციპლინო ორგანოებმა არსებულ მტკიცებულებებზე და ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით დააწესონ პროპორციული და ადექვატური სანქცია.
4. კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება სადისციპლინო კოდექსის 41.9., 41.10., 41.11., 42.9., 44.2., 47.5., 47.6., 47.7. მუხლებში მითითებულ დარღვევებს, საქმე განსახილველად შესაძლოა გადაეცეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველ კომიტეტს. ასევე, აღნიშნულ კომიტეტს საქმე შეიძლება გადაეცეს მატჩის ჩაშლის და/ან სავარაუდო დისკვალიფიკაციის ვადად 5 ან მეტი მატჩის შესაძლო დაკისრების ალბათობის შემთხვევაში.

64 სადისციპლინო ორგანოები და მათი შემადგენლობა

1. ამ კოდექსის შესაბამისად სადისციპლინო ორგანოებს წარმოადგენენ:
   - სადისციპლინო ორგანო;
   - სააპელაციო ორგანო.
2. სადისციპლინო და სააპელაციო ორგანოების თავმჯდომარეებს ნიშნავს სსფა-ის პრეზიდენტი.
3. სადისციპლინო და სააპელაციო ორგანოების თავმჯდომარეები საქმეს განიხილავენ და გადაწყვეტილებას იღებენ ერთპიროვნულად, კოდექსში მოცემული პრინციპების დაცვით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება სადისციპლინო და სააპელაციო კოლეგიის შექმნისა და ორგანოს წევრების არჩევის შესახებ.
4. სადისციპლინო და სააპელაციო ორგანოების წევრს ან წევრებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წინასწარ განუსაზღვრელი რაოდენობით, ირჩევს და ნიშნავს სსფა-ის პრეზიდენტი, ორგანოების თავმჯდომარეებთან შეთანხმებით.
5. სადისციპლინო ორგანოების წევრები და თავმჯდომარეები აირჩევა 1 წლის ვადით, რომელთა მანდატი შესაძლებელია გახანგრძლივდეს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, თითოეულ ჯერზე 1 წლის ვადით, განუსაზღვრელი ოდენობით.
6. სადისციპლინო ორგანოების წევრი შეიძლება იყოს სსფა-ის მიერ ორგანიზებულ ჩემპიონატებში მონაწილე გუნდის/კლუბის წარმომადგენლები ან/და სხვა ნებისმიერი პირი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსის 65-ე მუხლს.

65 დამოუკიდებლობა

1. სსფა-ის სადისციპლინო ორგანოები გადაწყვეტილებებს იღებენ დამოუკიდებლად, სსფა-ის სხვა

ორგანოებისგან ან ოფიციალური პირებისგან ინსტრუქციების გარეშე.

2. სსფა-ის სხვა ორგანოს წევრსა და ოფიციალურ პირებს უფლება არა აქვთ დაესწროს სადისციპლინო ორგანოების სხდომებსა და ზეპირ მოსმენებს, თუ ისინი გამოძახებული არ არიან ასეთ სხდომაზე.
3. სადისციპლინო ორგანოს წევრებმა, უნდა დაადასტურონ, რომ კონკრეტულ სადისციპლინო საქმეებს განიხილავენ დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით, ხოლო აცილების ან/და ინტერესთა კონფლიქტის საფუძვლის არსებობის შემთხვევაში არ მიიღებენ მონაწილეობას სადისციპლინო განხილვაში.
4. სადისციპლინო ორგანოს წევრმა, რომელთან მიმართებითაც არსებობს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირობები, ვალდებულია შესაბამისი სადისციპლინო ორგანოს თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ აცნობოს ასეთი საფუძვლების არსებობის შესახებ.
5. იმ შემთხვევაში, თუ აცილების ან/და ინტერესთა კონფლიქტის საფუძველი არსებობს სადისციპლინო ორგანოს თავმჯდომარის მიმართ, დროებით, მის მოვალეობებს ასრულებს შესაბამისი ორგანოს უხუცესი წევრი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
6. სადისციპლინო გადაწყვეტილების მიღებისას სხდომათა დარბაზში, შესაბამის ოთახში, სადაც ხდება გადაწყვეტილების მიღება ზეპირი მოსმენის გარეშე ან/და ონლაინ პლატფორმის შესაბამისი შეხვედრის ვირტუალურ ოთახში შესაძლებელია იყვნენ მხოლოდ კონკრეტული დავის განმხილველი ორგანოს წევრები და სადისციპლინო ორგანოს სამდივნოს წარმომადგენელი.

66 სხდომები

1. სსფა-ის სადისციპლინო და სააპელაციო ორგანოების სხდომები შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ერთ კონკრეტულ ადგილას შეკრებით, ასევე, ვირტუალურად, ონლაინ შეხვედრების პლატფორმების გამოყენებით.
2. კონკრეტულ სადისციპლინო საქმეს განიხილავს სადისციპლინო ორგანოს თავმჯდომარე.
3. სადისციპლინო ორგანოების სხდომებზე შეიძლება გაიმართოს ზეპირი მოსმენა ან სხდომა ჩატარდეს ზეპირი მოსმენის გარეშე.
4. სადისციპლინო ორგანოების სხდომები საჯაროა და შესაძლოა დაიხუროს შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილების შემთხვევაში.

67 შეუთავსებლობა

1. სსფა-ის სადისციპლინო ორგანოების წევრები არ შეიძლება იყვნენ სსფა-ის სხვა კომიტეტების წევრები, ასევე სსფა-ის გამგეობის წევრები და ორგანიზაციის მმართველები.
2. კონკრეტული სადისციპლინო საქმის განხილვაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ორგანოს წევრმა, რომელიც წარმოადგენს იმავე კლუბს ან იმ ლიგაში მოასპარეზე კლუბს, რომლის (ან მისი ფეხბურთელის/წარმომადგენლის) წინააღმდეგ დაწყებულია სადისციპლინო საქმის წარმოება.

68 კონფიდენციალობა

1. სადისციპლინო ორგანოების წევრებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი საქმიანობის დროს აღმოჩენილი ყველა დეტალი დარჩეს კონფიდენციალურად (საქმის ფაქტები, განხილვის შინაარსი).
2. ნებისმიერი პირი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა სადისციპლინო გამოძიების ან სადისციპლინო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვალდებულია კონფიდენციალურად შეინახოს ყველა ის გარემოება, რაც მისთვის ცნობილი გახდა სადისციპლინო საქმის წარმოების პროცესში.
3. მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილებების შინაარსი, რომელიც უკვე ეცნობათ საქმის წარმოების მონაწილე მხარეებს, შეიძლება გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

69 სადისციპლინო ორგანოს თავმჯდომარე

1. სადისციპლინო ორგანოს თავმჯდომარე თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
    - ხელმძღვანელობს სადისციპლინო ორგანოს მუშაობას.
    - აკონტროლებს მიღებული სადისციპლინო გადაწყვეტილებების შესრულებას.
    - ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს წინამდებარე კოდექსის შესაბამისად.
2. თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს ორგანოს უხუცესი წევრი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

70 სამდივნო

1. სსფა-ის სამდივნო უწევს დახმარებას სადისციპლინო ორგანოებს და აგვარებს ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საკითხებს.
2. სადისციპლინო ორგანოებს საჩივრებს, განცხადებებს, მტკიცებულებებს და საქმისთვის მნიშვნელოვან სხვა დოკუმენტს აწვდის სამდივნო, რომელიც, ასევე, უფლებამოსილია სადისციპლინო ორგანოს დავალებით გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია.
3. საჭიროების შემთხვევაში სამდივნო დახმარებას უწევს სადისციპლინო ორგანოებს სხდომაზე მიღებული ზეპირი გადაწყვეტილების წერილობით მომზადებაში.
4. სამდივნო სსფა-ის საშეჯიბრო კომიტეტიდან მუდმივად, ეტაპობრივად გამოითხოვს ინფორმაციას ჩემპიონატის მიმდინარეობისას მსაჯების მიერ გამოყენებული გაფრთხილებებისა და გაძევებების შესახებ.
5. სსფა-ის საშეჯიბრო ან/და დროებითი საგამოძიებო კომიტეტები საჩივარს ან/და სადისციპლინო სანქციის დამძიმების შესახებ მოთხოვნას უგზავნის სამდივნოს, რომელიც ამზადებს საქმეს სადისციპლინო ორგანოებისთვის გადასაცემად.
6. სამდივნო აწვდის ინფორმაციას ორგანოს წევრებს საქმეებთან დაკავშირებულ საკითხებზე და ათანხმებს სხდომების თარიღებს სხვა საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.
7. სსფა-ის სამდივნო ვალდებულია 2 წლის ვადით შეინახოს სადისციპლინო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

71 ვადები და ხანდაზმულობა

1. წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული ვადები შეიძლება გამოითვალოს მატჩების, დღეების, თვეების და წლების მიხედვით.
2. წლების მიხედვით გამოსათვლელი ვადა იწურება ვადის ბოლო წელიწადის შესაბამის თვეში და რიცხვში. თვეების მიხედვით გამოსათვლელი ვადა იწურება ვადის ბოლო თვის შესაბამის რიცხვში. იმ შემთხვევაში, თუკი თვეების მიხედვით გამოსათვლელი ვადის დასასრული ემთხვევა ისეთ თვეს, რომელსაც შესაბამისი რიცხვი არ გააჩნია, მაშინ ვადა იწურება ამ თვის ბოლო დღეს.
3. იმ შემთხვევაში, თუ პროცესუალური მოქმედების შესრულების უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ პროცესუალური მოქმედება უნდა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.
4. სადისციპლინო ორგანო უფლებამოსილია განსახილველად მიიღოს სადისციპლინო კოდექსის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრები დარღვევის გამოვლენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. სადისციპლინო ორგანო საჩივარს განიხილავს და მხარეებს გადაწყვეტილებას აცნობებს წერილობითი ფორმით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, საჩივრის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, გონივრული განსჯის შედეგად, გადაწყვეტილების მიღებისათვის აშკარად საჭიროა მეტი ან ნაკლები დრო.

72 პროცესუალური ვადების გაშვების შედეგები

1. პროცესუალური მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება წინამდებარე კოდექსით ან სადისციპლინო ორგანოს მიერ დადგენილი პროცესუალური ვადის ამოწურვის შემდეგ.
2. პროცესუალური ვადის ამოწურვის შემდეგ შემოტანილი მიმართვები, საჩივრები და დოკუმენტები, სადისციპლინო ორგანოს მიერ არ განიხილება და უბრუნდება იმ პირებს, რომელთა მიერაც იქნა შეტანილი.

73 პროცესუალური ვადების აღდგენა და განახლება

1. იმ პირებს, რომლებმაც გაუშვეს ამ კოდექსით დადგენილი ვადა მიზეზით, რომელიც სადისციპლინო ორგანომ აღიარა, როგორც საპატიო, გამოტოვებული ვადა შეიძლება აღუდგეთ.
2. განცხადების შეტანა გაშვებული ვადის შესახებ ხორციელდება იმ სადისციპლინო ორგანოში, რომელშიც უნდა განხორციელებულიყო პროცესუალური მოქმედება და განიხილება სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის თარიღი და დრო, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს შეფერხებას სადისციპლინო ორგანოსათვის დააყენოს საკითხი ვადის აღდგენის შესახებ.
3. გაშვებული ვადის შესახებ განცხადების შეტანასთან ერთად უნდა შესრულდეს აუცილებელი პროცესუალური მოქმედება (საჩივრის შემოტანა, დოკუმენტების წარდგენა ან სხვა.), რომლის მიმართებითაც არის ვადა გაშვებული.
4. სადისციპლინო ორგანოს მიერ დანიშნული პროცესუალური ვადები შეიძლება გაგრძელდეს თავად ამ ორგანოს მიერ.

74 საჩივრის ფორმა და მისი წარდგენის უფლება

1. სადისციპლინო ორგანოებში საჩივრის წარდგენა ხდება წერილობითი ფორმით.
2. საჩივარი უნდა შეიცავდეს:
    - ორგანოს დასახელებას, რომელმაც უნდა განიხილოს საჩივარი;
    - საჩივრის შემტანი პირის სახელსა და გვარს (იურიდიული პირის შემთხვევაში - სახელწოდებას), საიდენტიფიკაციო ნომერს, იურიდიულ ან ფაქტობრივ, სამუშაო ადგილის მისამართს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართს. საჩივარში შესაძლოა ასევე მიეთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები.
    - დავის საგანს;
    - კონკრეტულ ფაქტებს და გარემოებებს, რომლებზეც საჩივრის წარმდგენი პირი ამყარებს თავის მოთხოვნებს;
    - მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ საჩივრის წარმდგენი პირის მიერ მითითებულ გარემოებებს;
    - საჩივრის წარმდგენი პირის მოთხოვნას;
    - სამართლებრივ საფუძვლებს, რომლებზეც საჩივრის წარმდგენი პირი ამყარებს თავის მოთხოვნებს;
    - საჩივრისათვის დართული დოკუმენტების ნუსხას.
3. როგორც სადისციპლინო, ასევე, სააპელაციო ორგანოებში საჩივარი შეიძლება წარადგინოს:
    - სსფა-მ, მუდმივმოქმედი კომიტეტის თავმჯდომარის ან/და პრეზიდენტის ხელმოწერით;
    - გუნდმა/კლუბმა (საჩივარი ხელმოწერილი უნდა იყოს იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ან/და სსფა-ის გუნდების რეესტრში საჩივრის

ავტორი გუნდის ოფიციალურ წარმომადგენელად რეგისტრირებული პირის მიერ);
- მატჩის ოფიციალურმა პირმა.

4. საჩივარი შეიძლება წარდგენილ იქნას წარმომადგენლის მეშვეობით ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.

75 სხდომაზე დასწრების უფლება

1. სადისციპლინო ორგანოს სხდომა საჯაროა. კონკრეტულ შემთხვევებში, გონივრული საფუძვლით, სხდომა შეიძლება დაიხუროს ან სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა შეიზღუდოს, განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებით.
2. საჭიროების შემთხვევაში, ორგანო უფლებამოსილია განხილვაზე მოიწვიოს და საქმის მასალები გადაუგზავნოს მხარეს ან მხარეებს, რომელთა მიმართაც წარმოებს საქმის განხილვა. აღნიშნულ შემთხვევაში პირებს შეუძლიათ დაესწრონ სხდომას და მისცენ განმარტებები. იურიდიულ ორგანოს არ აქვს უფლება ასეთ პირს უარი უთხრას სხდომაში მონაწილეობაზე.
3. საკითხის განხილვისას პირს, რომლის მიმართაც დაწყებულია დისციპლინური საქმის წარმოება, უფლება აქვს:
    - მისცეს განმარტებები.
    - დაეყრდნოს საქმის მასალებს.
    - წარადგინოს თავისი არგუმენტები, მტკიცებულებები.
    - გამოითხოვოს მტკიცებულებები.
    - მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების წარმოდგენაში.
4. სადისციპლინო ორგანოს სხდომაზე იმ პირის არ დასწრება, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე, არ ახდენს გავლენას გადაწყვეტილების კანონიერებაზე.
5. იმ შემთხვევაში, თუ სხდომა არ არის დახურული და მასზე დასწრების უფლება მიეცა სავარაუდო დამრღვევს, მასთან ერთად სხდომაზე დასწრების უფლება აქვს მესამე პირსაც, თუმცა, იგი ვერ ისარგებლებს პროცესუალური უფლებებით, გარდა იმისა, რომ მოისმენს სხდომის მომდინარეობას, მხარეების და სადისციპლინო ორგანოს არგუმენტებსა და კომენტარებს.

76 წარმომადგენლობა

1. ფიზიკური პირები მონაწილეობენ სადისციპლინო ორგანოს მიერ საქმის განხილვაში პირადად ან თავიანთი წარმომადგენლის მეშვეობით (მინდობილობის საფუძველზე). ფიზიკური პირის საქმის განხილვაში პირადად მონაწილეობა არ ართმევს მას უფლებას ჰყავდეს წარმომადგენელიც. საჭიროების შემთხვევაში სადისციპლინო ორგანოს მოთხოვნით პირი ვალდებულია პირადად დაესწროს სხდომას.
2. იურიდიული პირები საქმის განხილვაში მონაწილეობენ იმ პირის მეშვეობით, რომლებსაც აქვთ უფლება იმოქმედონ იურიდიული პირის სახელით მინდობილობის გარეშე, ან წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც მოქმედებს მინდობილობით.

77 წარმოების ენა

1. სადისციპლინო ორგანოების მიერ საქმეთა წარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. ყველა დოკუმენტის წარდგენა ხდება ქართულ ენაზე. თუ დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება უცხო ენაზე, მისი წარმომდგენი პირი ვალდებულია, ასევე, წარმოადგინოს დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.
2. პირი, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას, ვალდებულია მოიწვიოს თარჯიმანი სადისციპლინო

ორგანოს სხდომაზე.

78 ახლად აღმოჩენილი გარემოებები

1. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შესაძლებელია გადახედილ იქნეს დაინტერესებული პირის მოთხოვნით, მის მიერ ისეთი გარემოებების, ფაქტებისა და მტკიცებულებების აღმოჩენისას, რომლებსაც შეუძლიათ არსებითი გავლენა მოახდინონ უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებაზე და რომლებიც ობიექტურად არ შეიძლებოდა წარდგენილი ყოფილიყო უფრო ადრე.
2. ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო გადაწყვეტილების გადახედვაზე მოთხოვნის შეტანა ხდება შესაბამისი საფუძვლის აღმოჩენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
3. გადაწყვეტილების გადახედვის მიზნით განცხადების შეტანა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 2 წლის გასვლის შემდეგ.
4. აღნიშნული საფუძვლით მიმართვა შესაძლებელია იმ ორგანოსათვის, რომელმაც მიიღო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

79 ხარჯები

1. სადისციპლინო და სააპელაციო ორგანოებში დისციპლინური საქმის წარმოება უფასოა, გარდა ამავე მუხლის მე-4 პუნქტით და კოდექსის 93-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.
2. მხარე ვალდებულია გასწიოს მისი პოზიციის დასაბუთებისათვის წარმოდგენილი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლო ხარჯი.
3. იმ შემთხვევაში, თუ გამონაკლისი შემთხვევების შესაბამისად, კონკრეტული სააპელაციო საჩივრის წარდგენა დაკავშირებულია ხარჯებთან, განმცხადებელმა სსფა-ის სამდივნოს სააპელაციო საჩივართან ერთად უნდა წარუდგინოს ასეთი ხარჯების სრულად დაფარვის დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. სადისციპლინო ორგანოსათვის წინამდებარე კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილში განსაზღვრული წესით გუნდის/კლუბის მიერ სადისციპლინო საჩივრით მიმართვის შემთხვევაში სადისციპლინო შენატანი შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს ფიზიკური პირისათვის, ხოლო 100 (ასი) ლარს იურიდიული პირისათვის. აღნიშნული არ გულისხმობს სადისციპლინო ორგანოსათვის ინფორმაციის მიწოდების შემთხვევას.

80 მტკიცებულებების სახეები

1. ჩადენილი სადისციპლინო დარღვევების საქმეზე მტკიცებულებებად ითვლება ნებისმიერი ოფიციალური ცნობა, რომელთა საფუძველზე სადისციპლინო ორგანო ადგენს იმ გარემოებების არსებობას ან არარსებობას, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის და რომელთა საფუძველზეც სადისციპლინო ორგანო იღებს გადაწყვეტილებებს.
2. მტკიცებულების სახით მიიღება:
    - მატჩის ოფიციალური პირების პატაკები.
    - მატჩის ოქმი.
    - პირების, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს საქმის წარმოება, მოწმეების და სხვა პირების განცხადებები და განმარტებები.
    - აუდიო და ვიდეოჩანაწერები, ფოტოები.
    - სპეციალისტების დასკვნები და განმარტებები.
    - სხვა დოკუმენტები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმესთან.
    - ნივთიერი მტკიცებულებები.

3. დაუშვებელია ისეთი მტკიცებულებების გამოყენება, რომლებიც აშკარად არ შეესაბამებიან განსახილველ საქმეს.

81 მტკიცებულებების გამოკვლევა

1. სადისციპლინო ორგანოები აფასებენ მტკიცებულებებს თავიანთი შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, საქმის ყველა გარემოებასთან ერთობლიობაში.
2. სადისციპლინო ორგანოსთვის მტკიცებულებების მიწოდების უფლება აქვს სსფა-ს და პირს რომლის მიმართაც მიმდინარეობს სადისციპლინო საქმის წარმოება. ამასთანავე, სადისციპლინო ორგანოს უფლება აქვს შეისწავლოს და გამოიკვლიოს მტკიცებულებები, რომლებიც მესამე პირებმა მიაწოდეს ორგანოს ან სსფა-ის რომელიმე კომიტეტს. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, სადისციპლინო ორგანო უფლებამოსილია თავად გამოითხოვოს, მოიპოვოს და გამოიკვლიოს მტკიცებულებები, რომლებსაც თვლის მნიშვნელოვან მტკიცებულებად საქმეზე ობიექტური გამოძიების და ადექვატური სანქციის დაკისრების თვალსაზრისით (ინკვიზიციურობის პრინციპი).

82 მატჩის ოქმი და მატჩის ოფიციალური პირების პატაკები

1. მატჩის ოქმი და მატჩის ოფიციალური პირების პატაკები, ითვლება სარწმუნოდ, ვიდრე საწინააღმდეგო არ იქნება დამტკიცებული. ოფიციალურ პატაკად ჩაითვლება დისციპლინური განხილვის მონაწილე პირის მიერ ასოციაციის სადისციპლინო ორგანოს ოფიციალურ წარმომადგენელთან დაფიქსირებული ზეპირი ახსნა-განმარტებაც.
2. სადისციპლინო ორგანო, დისციპლინური დარღვევის შესახებ საქმის განხილვის მსვლელობისას შეისწავლის მტკიცებულებებს მატჩის ოქმში და ოფიციალური პირების პატაკებში ცნობების არასანდოობის შესახებ და ითვალისწინებს მათ დისციპლინური დარღვევის ჩამდენი პირის ბრალეულობის განსაზღვრისას.
3. თუ არსებობს რაიმე შეუსაბამობა მატჩის სხვადასხვა ოფიციალური პირის პატაკებს შორის და არ არის სხვა საშუალება, ფაქტების სხვადასხვა ვერსიების დაზუსტებისა, უპირატესობა ენიჭება მსაჯის პატაკს იმ ინციდენტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სათამაშო მოედანზე. მატჩის დელეგატის პატაკს ენიჭება უპირატესობა იმ ინციდენტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სათამაშო მოედნის გარეთ.

83 მტკიცების ტვირთი

1. დისციპლინური დარღვევის შესახებ საქმის განხილვის დროს იურიდიული ორგანო აგროვებს მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას პირისთვის სანქციის დაკისრების ან ასეთი პირის სანქციის გარეშე დატოვების შესახებ.
2. სსფა-ის საშეჯიბრო, სხვა მუდმივმოქმედი ან/და დროებითი საგამოძიებო ორგანოები ამტკიცებენ ფაქტებს, რომელთა საფუძველზეც სავარაუდო დამრღვევ პირს უნდა დაეკისროს ამ კოდექსით განსაზღვრული სანქცია.
3. პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს საქმის წარმოება და სხვა დაინტერესებული პირები ამტკიცებენ ფაქტებს, რომლებზეც ისინი მიუთითებენ.

თავი მეორე. სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილება

84 გადაწყვეტილების მიღება

1. სადისციპლინო საქმის განხილვისას საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებს თავმჯდომარე. თუ საქმეს განიხილავს კოლეგია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.
2. თუ საქმეს განიხილავს კოლეგია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებს კოლეგიის თითოეული წევრი. დაუსწრებელი კენჭისყრა და კენჭისყრა მინდობილობით დაშვებული არ არის.
3. თუ საქმეს განიხილავს კოლეგია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.
4. თუ საქმეს განიხილავს კოლეგია, ასეთის არსებობის შემთხვევაში და კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო ორგანოს რომელიმე წევრი არ ეთანხმება კოლეგიის გადაწყვეტილებას, ასეთ წევრს უფლება აქვს წერილობით გადაწყვეტილებას თან დაურთოს განსხვავებული აზრი, სადაც იგი ახსნის თუ რატომ არ ეთანხმება კენჭისყრით მიღებულ გადაწყვეტილებას.

85 გადაწყვეტილების სტრუქტურა და შინაარსი

1. სადისციპლინო ორგანოების წერილობითი გადაწყვეტილებები შედგება სამი ნაწილისაგან:
   - აღწერილობითი ნაწილი;
   - სამოტივაციო ნაწილი;
   - სარეზოლუციო ნაწილი.
2. სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილებაში მიეთითება:
   - სხდომაზე დამსწრე წევრების ვინაობა.
   - პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს საქმის წარმოება.
   - ჩადენილი დისციპლინური დარღვევის გარემოებების მოკლე შინაარსი.
   - მითითება წინამდებარე კოდექსის ნორმებზე, რომლის შესაბამისად ხდება გადაწყვეტილების მიღება.
   - ორგანოს გადაწყვეტილებები.
   - სანქციის აღსრულების ვადები.
   - ინფორმაცია გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ.
3. წერილობითი გადაწყვეტილების თითოეული აბზაცი უნდა იყოს მონიშნული პარაგრაფებად.
4. გადაწყვეტილებას ხელს აწერს თავმჯდომარე და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აწერენ კოლეგიის წევრები, გარდა იმ წევრისა, რომელიც არ ეთანხმება კენჭისყრით მიღებულ გადაწყვეტილებას. ეს უკანასკნელი უთითებს, რომ გააჩნია განსხვავებული აზრი.

86 გადაწყვეტილების ძალაში შესვლა

1. სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილებები, რომლითაც დამრღვევ პირს სანქციის სახით დაეკისრა: დისკვალიფიკაცია (მუხლი 19), გასახდელში ან/და ტექნიკურ ზონაში ყოფნის აკრძალვა (მუხლი 20), სტადიონის ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა (მუხლი 21), სსფა-ის ეგიდით საფეხბურთო საქმიანობის აკრძალვა (მუხლი 22), ფეხბურთელების რეგისტრაციის აკრძალვა (მუხლი 23), მატჩის ჩატარება გულშემატკივრის გარეშე (მუხლი 24), მატჩის ჩატარება ნეიტრალურ სტადიონზე (მუხლი 25), მატჩის კონკრეტულ სტადიონზე ჩატარების აკრძალვა (მუხლი 26), მატჩის შედეგის გაუქმება (მუხლი 27), ჩემპიონატიდან გარიცხვა (მუხლი 30) ან/და ტექნიკური მარცხის მინიჭება (მუხლი 31)

ძალაში შედის მისი მიღებისთანავე და დაუყოვნებლივ იწყება მისი აღსრულება. ყველა სხვა სანქციის დაკისრების შემთხვევაში, სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ.

2. სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილებები, ასევე, სადისციპლინო ორგანოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც არ საჩივრდება სააპელაციო ორგანოში, ძალაში შედის მისი მიღებისთანავე.
3. სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვისას იმ პირის მიმართ, რომელზეც გამოყენებულია სადისციპლინო სანქცია, სააპელაციო ორგანოს უფლება აქვს განსაზღვრული დროით შეაჩეროს ამგვარი სანქციის აღსრულება დაინტერესებული პირის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე.

87 ადრესატები

1. პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სადისციპლინო სანქცია, პირველ ეტაპზე ეგზავნება სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მისი მიღების დღესვე. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარების შემდეგ აღნიშნულ პირს შეუძლია მოითხოვოს სადისციპლინო ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომლის მისაღებადაც იგი წინასწარ იხდის დადგენილ საფასურს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.
2. სადისციპლინო ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს ეგზავნება მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა.
3. სადისციპლინო ორგანოების გადაწყვეტილებები ადრესატს ეგზავნება ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
4. გადაწყვეტილება ჩაბარებულად ითვლება მისი ადრესატისთვის ელ-ფოსტით გაგზავნის მომენტიდან, ხოლო გასაჩივრების ვადის დენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იწყება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარებიდან მეორე დღეს.

88 გასაჩივრების უფლება

სადისციპლინო ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილების სააპელაციო ორგანოში გასაჩივრების უფლება აქვს პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულია სადისციპლინო სანქცია, აგრეთვე სხვა პირს, რომლის ინტერესებს უშუალოდ ეხება სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილება.

89 საჩივრის განმხილველი ორგანო

საჩივარს სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ განიხილავს სააპელაციო ორგანო.

90 სააპელაციო საჩივრის შეტანა და საჩივრის ფორმა

1. საჩივრის შეტანა ხორციელდება სააპელაციო ორგანოში.
2. სააპელაციო საჩივარი უნდა მოიცავდეს:
    - მიმართვას სააპელაციო ორგანოსადმი;
    - იურიდიული პირის სახელწოდებას ან საჩივრის შემომტანი პირის სახელს, გვარს, საკონტაქტო მონაცემებს;
    - მითითებას გასასაჩივრებელ სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილებაზე;
    - საჩივრის საფუძვლებს და არგუმენტებს;
    - მტკიცებულებებს, რომელსაც ეყრდნობა სააპელაციო საჩივარი;

- საჩივრის ავტორის მოთხოვნას;
- საჩივარზე თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალს.

3. საჩივარს ხელს აწერს პირი, რომელსაც შემოაქვს საჩივარი ან მისი წარმომადგენელი. ფიზიკური პირის წარმომადგენლის საჩივარს თან უნდა ერთვოდეს მინდობილობა, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებამოსილებებს.
4. სააპელაციო საჩივარს თან უნდა დაერთოს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სააპელაციო შენატანის გადახდას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
5. პირი, რომელსაც შემოაქვს სააპელაციო საჩივარი, შეუძლია გამოითხოვოს იგი ნებისმიერ დროს სააპელაციო ორგანოს მიერ საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებამდე.
6. სააპელაციო საჩივრის გამოთხოვის შემთხვევაში გადახდილი სააპელაციო შენატანი საჩივრის ავტორს არ დაუბრუნდება.

91 სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილებები, რომლებიც არ საჩივრდება

სააპელაციო ორგანოში შესაძლებელია შეტანილ იქნას საჩივარი სადისციპლინო ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიმართ, გარდა ისეთი გადაწყვეტილებებისა, სადაც სანქციის სახით განსაზღვრულია: დისკვალიფიკაცია 4 ან ნაკლები მატჩით, ჯარიმა ფიზიკური პირისათვის 200 ლარის ან ნაკლები ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისათვის 300 ლარის ან ნაკლები ოდენობით.

92 უარი საჩივრის განხილვაზე

1. სააპელაციო საჩივარი არ იქნება მიღებული წარმოებაში და უბრუნდება საჩივრის ავტორს, იმ შემთხვევაში თუ:
   - საჩივარი არ შეესაბამება წინამდებარე კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს;
   - არ არის გადახდილი სააპელაციო შენატანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   - საჩივარი შემოაქვს არაუფლებამოსილ პირს;
   - საჩივარი შემოდის გადაწყვეტილებაზე, რომელიც არ შეიძლება გასაჩივრდეს წინამდებარე კოდექსის შესაბამისად;
   - საჩივრის შეტანა ხდება გასაჩივრებაზე დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.
2. თუკი შესაძლებელია საჩივრის განხილვაზე უარის საფუძვლის აღმოფხვრა მისი ავტორის მიერ, მაშინ დაბრუნებული საჩივარი ხელახლა უნდა იქნას შეტანილი სააპელაციო ორგანოში, მაგრამ გასაჩივრებაზე დადგენილი ვადების ფარგლებში.

93 სააპელაციო შენატანი

1. სააპელაციო შენატანი შეადგენს 200 ლარს.
2. სააპელაციო შენატანის გადაუხდელობის შემთხვევაში საჩივარი არ განიხილება.
3. სააპელაციო შენატანი საჩივრის ავტორს უკან არ უბრუნდება.

94 სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადები

ნებისმიერმა პირმა, რომელიც აპირებს სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას სააპელაციო ორგანოში, სააპელაციო საჩივარი უნდა შეიტანოს სადისციპლინო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში. განსაკუთრებულ შემთხვევებში, აღნიშნული ვადა შეიძლება შეიცვალოს სადისციპლინო ორგანოს მიერ.

95 სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადა

სააპელაციო ორგანომ, რომელშიც შეტანილია საჩივარი სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილებაზე, საჩივარი უნდა მიიღოს წარმოებაში და განიხილოს იგი მიღების დღიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

96 სააპელაციო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით

1. სააპელაციო ორგანოს უფლება აქვს მიიღოს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილება:
   - დატოვოს ძალაში სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილება.
   - შეცვალოს სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილება.
   - გააუქმოს სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილება და მიმართოს საქმე ხელახალ განხილვაზე.
   - გააუქმოს სადისციპლინო ორგანოს გადაწყვეტილება და გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება.
2. სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული გადაწყვეტილების შედგენის სტრუქტურას და ზოგად მოთხოვნებს.
3. სააპელაციო ორგანოს უფლება აქვს, შეამციროს, მაგრამ უფლება არ აქვს გაზარდოს სადისციპლინო ორგანოს მიერ დადგენილი სადისციპლინო სანქციის ოდენობა.
4. საჩივრის ავტორს ეგზავნება სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. პირისთვის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში სააპელაციო ორგანო ვალდებულია მას გაუგზავნოს სრული წერილობითი, დასაბუთებული და ამ კოდექსის ნორმების დაცვით მიღებული გადაწყვეტილება.
5. სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კარი მეოთხე. დასკვნითი დებულებები

97 ოფიციალური ენა

წინამდებარე კოდექსი მიღებულია ქართულ ენაზე და კოდექსით განსაზღვრული ყველა საპროცესო მოქმედება ხორციელდება ქართულ ენაზე.

98 გენდერი და რიცხვი

წესები და რეგულაციები, რომლებიც ეხება ფიზიკურ პირებს ვრცელდება ორივე გენდერზე. მხოლობით რიცხვში გადმოცემული ნებისმიერი წესი ვრცელდება მრავლობით რიცხვზეც და პირიქით.

99 კოდექსის ამოქმედება

სადისციპლინო კოდექსი ძალაში შედის 2026 წლის 9 ივლისიდან.

საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის გამგეობა.